# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 7 სექტემბერი 2002 №169 (1691) | ფასი 50 თეთრი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. მეათე ჯგუფი

# შვეიცარია — საქართველო

8 სექტემბერი. ბაზელი. სენტ იაკობ პარკი. 19 საათი

# ბოლო იმედის თამაში



ტრადიცია გრძელდება ანუ საქართველოს ნაკრები გამარჯვების იმედით იწყებს ახალ შესარჩევ ციკლს. რატომაც არა, მოთამაშეებისთვის იდეალური პირობები, ბწყინვალე პრესა და თუნდაც ბაზელის „სენტ იაკობ პარკი" — ხულ ოთხი თვის აშენებული უზარმაზარი სტადიონი.

საქართველოს ნაკრები მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს! რა ხანია, ამგვარ თამამ განცხადებას ყველი გაუვიდა, მაგრამ ოცნებას კაცი არ მოუკლავს და ლევან კობიაშვილმა ერთ იქაურ გაზეთთან ინტერვიუში სწორედ ასე თქვა, ერთი ქულა არ დაგვაკმაყოფილებსო.

ჩვენი სურვილიც ესაა — სურვილი და არა მოთხოვნა, რადგან ჩვენს ნაკრებს კარგად ვიცნობთ და ისიც ვიცით, რომ მას მოგებულზე ბევრად მეტი წაუგია. მოთხოვნას უფრო გამარჯვებას დაჩვეულ გუნდებს უყენებენ.

ჩვენ ერთგულად ვქომაგობთ ჩვენს გუნდს, ეს ბუნებრივია, მაგრამ გამარჯვების დიდ მოლოდინს აქამდე მხოლოდ დიდი იმედგაცრუება მოჰქონდა და გაკვეთილად მივიღეთ.

და მაინც, ჩვენ ნაღდ თამაშს მოვითხოვთ, რადგან იმედგაცრუებას კი შევეჩვიეთ, მაგრამ შეურაცხყოფის მოთმენა აღარ გვსურს. ზვალინდელი, ბოლო იმედის თამაშის წინ, ამაზე ლაპარაკი ევებ უხერხულიც იყოს, მაგრამ ქომაგის შეურაცხმყოფელი თამაშების მომსწრენიც რომ ვართ, ვერსად გავექცევით. უფრო სწორად, ნაკრები ვერსად გაექცევა.

ბოლო იმედი ვახსენეთ. ნაკრების ძირითად ბირთვს სწორედ ის ფეხბურთელები შეადგენენ, მეტი შანსი რომ, ალბათ, აღარ ექნებათ.

სადაც ჩვენს იმედზე ვთქვით, შვეიცარიელთაც ვახსენოთ. ქართველებთან გამარჯვება უდრის ჯგუფიდან გასვლას და პორტუგალიაში წასვლას — ეს იქაურ გაზეთში საამბატონო წერილის სათაურია. ვეჭვობთ, ამისთვის მხოლოდ ქართველების დამარცხება საკმარისი არ აღმოჩნდეს, მაგრამ შვეიცარიელთა განწყობას კი სრულად ასახავს.

ერთიც. „რა თქმა უნდა, გავიმარჯვებთ, საქართველოსთან ეს რა საკითხავია" — უთხრა ამავე გაზეთის კორესპონდენტს ლივერპულელმა სტეფან ანშომ, როცა პროგნოზი ჰკითხეს. ეს გამოწვევაა, თავმოყვარე გუნდმა კი გამოწვევა უნდა მიიღოს. სამწუხარო მხოლოდ ისაა, ხანდახან ამის შეხსენება რომ გვიწევს.

# მსოფლიომ ამერიკა შტატების შემცირებაში მოაყოლა

არც ოქრო, არც ვერცხლი, არც ბრინჯაო, არც სახელი და არც თავმოყვარეობა, არაფერი შერჩათ ამერიკელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე. დამტკიცდა, ისტორიული 4 სექტემბრის მარცხი არგენტინასთან შემთხვევითობა არ ყოფილა. ამერიკელებმა 24 საათში მეორედ წააგეს და ახლა მეოთხედფინალიდან შაყნაკრავი ნბა-ელი ვარსკვლავები კუდამოძუებულები დაიფანტებიან თავიანთ კლუბებში. იქ ისინი მილიონებს აკეთებენ იმ საქმეში, რომელშიც პირველები აღარ არიან.

უამერიკო საკალათბურთო მსოფლიოს ფლაგმანი იუგოსლავია პირველი ვერ ჩაეწერა ამერიკის დამმარცხებელთა სიაში, მაგრამ მთავარია, რომ როცა სჭირდებოდა, მაშინ შეძლო ამ სიაში მოხვედრა. დივაცმა, სტოიაკოვიჩმა, იარიჩმა, გუროვიჩმა და მათმა ძმებმა ისე დაუნანებლად დაბომბეს ამერიკელთა კალათი სხვადასხვაქულიანებით, როგორც ბომბავდნენ ამ ორი წლის წინ ამერიკელები და მათი მოკავშირეები ამ ბიჭების მიწა-წყალს. საბოლოოდ 81:78 და მფრინავი ამერიკული კალათბურთი საბოლოოდ დაენარცხა მიწას, რომელზეც, მისი აზრით, დანარჩენები დახოხავდნენ.

ამერიკულ კალათბურთში შინაურმა კაცმა ვლადე დივაცმა თქვა, რომ ამ ჩემპიონატზე ამერიკელებს არ ჰქონდათ საკმარისი მოტივაცია და მხარდაჭერა, სამაგიეროდ, ისინი უზარმაზარ ზეწოლას განიცდიდნენ, კაცნი არიან და ვერ გაუძლესო.

ეს ყველაფერი წვრილმანია, რადგან ყველაფრის მიუხედავად, დღეს ამერიკა დამარცხებულია, ორ დღეში ორგზის და საბოლოოდ. შეიძლება ვთქვათ, ამერიკული კალათბურთი დამარცხდა. ამერიკას აკლდა შაკილ ონილი და სხვა საუკეთესო ბიჭებიც, მაგრამ უმათო ამერიკის ძლევაც ხომ წარმოუდგენელი იყო, სანამ ეს მოხდებოდა. სწრაფად გაირბინა ნბა-სა და სხვებს შორის გაწოლილმა სინათლის წლებმა.

ბედმა მწარე ხვედრი არგუნა ჯორჯ კარლს, პირველად მის ხელში შერცხვა ნბა-ს უძლეველი ლაშქარი. ჭკვიანი კაცია კარლი, ხვდება, რაც მოხდა და ამბობს, რაც მოხდება — „ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიო დაამარცხებს ჩვენს საუკეთესო ბიჭებს, დიახ".

იხილეთ მეთორმეტე-მეცამეტე გვერდები




ამერიკა მიწაზე უპარაშუტოდ დაეშვა. იუგოსლავია კი ხარობს



REUTERS

# მინდვრის ცრემლები

## ოფისი თუ ავტობუსი: რომელი დასველდება სენტ იაკობ პარკზე?

განო
ოქროპირიძე
ბაზელიდან



**საქართველოს** ეროვნული ნაკრების ისტორიაში ხვალიდან ახალი ფურცელი გადაიშლება. ალექსანდრე ჩივაძე და მისი სამწყსო ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს იწყებს და იმედიანადაც.

ნაკრების ოპტიმისტური განწყობა, ცხადია, სასიამოვნოა, თუმცა ქომაგთა ნაწილისთვის გაუგებარიც კია. მათ ჯერ არ დავიწყნიათ ოციოდე დღის წინანდელი თურქეთი. ძნელია, მათ ამის დავიწყება მოსთხოვო, რადგან ეროვნული გუნდისგან არაერთი „თურქეთი" ახსოვთ. ამიტომაც, მოდით, შევთანხმდეთ: თუ ვერ დავივიწყებთ, თვალი მაინც დავხუჭოთ, კიდევ ერთხელ, შესაძლოა, უკანასკნელადაც დავხუჭოთ, რადგან ძნელია, ახალ ეტაპს პესიმისტურად შეხვდე.

უიაშვილო, უქეცბაიო და უხიზანიშვილო ნაკრები გუშინ საღამოს ეწვია ბაზელს. მწვრთნელთა შეთანხმებისამებრ, მთავარ გუნდს გამოაკლდა ოთარ ხიზანეიშვილიც. იგი ვახტანგ კოპალეიშვილის ახალგაზრდულს შეუერთდა. როგორც თავად კოპალეიშვილმა „სარბიელს" უთხრა, ხიზანეიშვილი დღეს ახალგაზრდულის ძირითადში იქნება, თუმცა ვითარების შესაბამისად, შესაძლოა, მხოლოდ ერთი ტაიმი ათამაშოს, რათა ოთარ ხიზანეიშვილი ძალიან არ დაიღალოს და საჭირო შემთხვევაში ხვალ ეროვნულსაც დაეხმაროს.

გუშინდლისთვის ჯერაც გაურკვეველი იყო ახალგაზრდულ გუნდში კუნთდაჭიმულ ახალაიასა და ამისულაშვილის თამაში. ამას ექიმები დღეს გადაწყვეტენ. ახალგაზრდულთა შეხვედრა ციურიხის მახლობლად, ქალაქ გრენხენში გაიმართება. ხვალინდელს კი ბაზელის ულამაზესი, უახლესი და უთანამედროვესი „სენტ იაკობ პარკი" უმასპინძლებს. ცნობისთვის: ეს სტადიონი ახალი აშენებულია, საფეხბურთო კლუბმა „ბაზელმა" იგი ამ წლის მაისში ჩაიბარა. ტრიბუნები მთლიანად გადახურულია, რაც იმას ნიშნავს, რომ 31 500 მჯდომ და 6 500 მდგომ ქომაგს თამაშის ყურება თავსხმა წვიმაშიც მშვიდად შეუძლია. თუმცა ხვალისთვის „სენტ იაკობ პარკზე", 200 ვიდეოკამერით და 2 სუპერთანამედროვე დიდი ტაბლოთი რომაა აღჭურვილი, 38 ათას კაცს ნაღდად არ ელიან. შვეიცარიულ გაზეთ „ბლიკის" ცნობით, გუშინდლისთვის მხოლოდ 11 500 ბილეთი იყო გაყიდული. ამიტომაც ამავე გაზეთის ფურცლებიდან ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, „ბაზელის" მცველი მურატ იაკინი თანაქალაქელებსა და თანამემამულეებს სტადიონზე იხმობს. „გთხოვთ, მოდით სტადიონზე და გვიქომაგეთ. ქართველებთან ჩვენ თქვენი მხარდაჭერა გვჭირდება" — მიმართავს იგი ქომაგებს და იქვე ამატებს — ქართველებს აუცილებლად უნდა მოვუგოთ, ეს გამარჯვება ჰაერივით გვჭირდება.

სხვათა შორის, შვეიცარიელებიც ქართველებზე არანაკლებ იმედიანად არიან. უფრო სწორად, ისინი იმედიანად კი არა, დარწმუნებულნიც არიან თავიანთ გამარჯვებაში. „რა თქმა უნდა, გავიმარჯვებთ, საქართველოსთან ეს რა საკითხავია" — ჩაიჩუმა იმავე „ბლიკის" კორესპონდენტი, ლივერპულელმა სტეფან ანშომ, როცა პროგნოზი ჰკითხეს.

ნაყოფიერი შეკრება როგორმე არც შვეიცარიელებს დაჰკლებიათ. იაკობ კუნი გუნდს ციურიხის მახლობლად, დაბა ფოისისბერგში ამზადებდა და ფაქტობრივად პრობლემა არც შექმნია, თუ არ ჩავთვლით სერვეტელი სებასტიან ფურნიეს ტრავმას. მას მენისკი აღმოაჩნდა. საოპერაციოც ყოფილა, მაგრამ ხვალ მაინც გავა მინდორზე და დანას ამის მერეღა შეუშვერს ფეხს.

„ბლიკზე" თხრობას კი ამ შეხვედრისადმი მიძღვნილი წერილის სათაურით დავამთავრებ. ქართველებთან გამარჯვება ულრის ჯგუფიდან გასვლას და პორტუგალიაში წასვლას — ასკვნის გაზეთი. ამ სიტყვების საფუძველი კი ისაა, რომ ბოლო ათწლეულში შვეიცარიამ ორჯერ ითამაშა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების დასკვნით ეტაპზე და ორჯერვე წარმატებით დაიწყო შესარჩევი ეტაპი. ეს 1992 და 1994 წლებში მოხდა. მას მერე შვეიცარიელებმა სასტარტო მატჩები აზერბაიჯანთან, იტალიასთან და რუსეთთან დათმეს და ფინალურ ეტაპებსაც ველარ გაეკარნენ.

სხვათა შორის, პირველ მატჩს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ლევან კობიაშვილიც. „ფრაიბურგის" ქართველთან საკმაოდ მოზრდილი ინტერვიუ გუშინდელმა „ბაზლერ ცაიტუნგმა" დაბეჭდა. „ჩვენ ქულა არ დაგვაკმაყოფილებს, გამარჯვება გვჭირდება. როგორც დავიწყებთ, ისევე გავაგრძელებთ. ეს შესარჩევი ეტაპი უნდა დავძლიოთ. ჩემს სამშობლოში ელიან, რომ ნაკრები ახლა მაინც დაძლევს საკვალიფიკაციო წრეს. ეს რომ შევძლოთ, წარმოუდგენელია, რა მოხდება საქართველოში. ერს უდიდეს ბედნიერებას მივანიჭებთ! — ამბობს კობიაშვილი, რომელიც ამავე ინტერვიუში საკმაოდ ვრცლად საუბრობს ალექსანდრე ჩივაძეზე. „მან გუნდი შეკრა, გაგვაერთიანა. იგი თავად იყო უდიდესი ფეხბურთელი. საბჭოთა კავშირის საუკუნის საუკეთესო მცველადაც კი აღიარეს. მან ჩვენ ახალი სული შთაგვბერა და ყოველთვის მაგალითს გვაძლევს. ეს ყოველივე წარმატებისთვის განგვაწყობს" — განუცხადა კობიაშვილმა „ბაზლერ ცაიტუნგს".



სტეფან ანშო: საქართველო? რა თქმა უნდა, მოვუგებთ!



ლევან კობიაშვილი: ჩვენ გამარჯვება გვჭირდება

ამავე გაზეთში კიდევ ერთი მოზრდილი წერილია ქართულ ფეხბურთზე. არის უამრავი ინფორმაცია ჩვენს ნაკრებზე. მოყვანილია ციტატა 1964 წლის „ფრანს ფუტბოლიდან". აი, რას წერდა ფრანგული გამოცემა იმდროინდელ თბილისის „დინამოზე": „ტექნიკით, ელეგანტურობითა და სათამაშო ინტელექტით ქართველები უბადლონი არიან. ისინი აღმოსავლეთ ევროპელი სამხრეთ ამერიკელები არიან. თბილისის „დინამოს" რომ ჩემპიონთა თასზე ეთამაშა, ესპანური და იტალიური კლუბების ჰეგემონია დაემხობოდა". „ბაზლერ ცაიტუნგის" წერილში ნახსენებია 1981 წელს „დინამოსგან" „კარლ ცაისის" ძლევა, საკმაო ინფორმაციაა ჩივაძეზე და თანამედროვე ქართულ ფეხბურთზე. შვეიცარიელებს ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისისთვის დაშენილი ტყვიების ამბავიც გაუგიათ და გამოუმზეურებიათ, ნახსენებია პრეზიდენტის არჩევნების ამბავიც.

ერთი სიტყვით, მატჩამდელი ბრძოლა მთავრდება, ჟურნალისტებმა თამაშამდე ჩვენი სათქმელი ვთქვით და თამაშის შემდეგაც ვიტყვით. ჩვენთვის საკითხავი ესლაა, რას გვათქმევინებენ მწვრთნელ-ფეხბურთელები? თუმცა, ბოლოს ერთს მაინც დავამატებ.

შვეიცარიელები ქართველთა სიმწრის ცრემლებით აპირებენ ნაკრების ახალი ავტობუსის „დასველებას". მისი შეძენა შვეიცარიის საფეხბურთო კავშირს ახლახან 700 ათასი ფრანკი დაუჯდა. ავტობუსის აღჭურვილობას ნულარ იკითხავთ. ტყავის სავარძლები, ინტერნეტი, ტელეფაქსი, ვიდეომაგნიტოფონებზე, ტელევიზორებზე და მუსიკალურ ცენტრზე ხომ საუბარიც არ ღირს. აქვეა აირწინაღებიც, რა იცით, რაში გამოგადგებათო, ალბათ ეს სიტყვები თუ დააყოლეს ავტობუსის დამამზადებლებმა. ისე, თუ დასველებაზე მიდგა საქმე, ურიგო არ იქნებოდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისი გამარჯვებით დაგვესველებინა, იმ შენობას „სენტ იაკობ პარკის" მინდორზე აღებული შვეიცარიული ცრემლი, მგონი, კიდევ უფრო დაამშვენებდა.



REUTERS

იან კოლერის ჩეხეთმა იგორ დულიაკის (№5) იუგოსლავია ხუთი უპასუხო გოლით შეარცხვინა

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი
სლოვენია 1:0 მალტა
კვიპროსი 0:1 საფრანგეთი

II ჯგუფი
ნორვეგია 3:0 დანია
ბოსნია 2:1 რუმინეთი

III ჯგუფი
ჰოლანდია 0:1 ბელარუსი

IV ჯგუფი
ლატვია 0:4 შვედეთი
სან მარინო 1:5 პოლონეთი

V ჯგუფი
ლიტვა 1:4 გერმანია

VI ჯგუფი
სომხეთი 1:1 უკრაინა
საბერძნეთი 1:0 ესპანეთი

VII ჯგუფი
თურქეთი 2:1 სლოვაკეთი
პორტუგალია 1:0 მაკედონია

VIII ჯგუფი
ხორვატია 3:1 ესტონეთი
ბელგია 3:1 ბულგარეთი

IX ჯგუფი
ფინეთი 2:1 უელსი
აზერბაიჯანი 0:3 იტალია

### ინგლისი

II დივიზიონი. VII ტური
ბრისტოლი 3:0 ნორთჰემპტონი

III დივიზიონი. VII ტური
ბერი 2:1 იორკი
კარლაილი 0:2 როჩდეილი

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
VII ტური
პადერბორნი 1:1 ოსნაბრიუკი
კიოლნი (მ) 0:2 იურდინგენი
ესენი 4:5 ფიორლი

### ამხანაგური მატჩი

ჩეხეთი 5:0 იუგოსლავია







### სახვალიო

რონალდო მადრიდში გადავიდა და უკვე დაშავდა, ბექჰემს მეორე შვილი შეეძინა და ალბათ კიდევ მოხდა რაღაცეები ფეხბურთის შორიახლოს, მაგრამ ახლა ჩვენ სულ სხვაგან ვართ:

იქ, სადაც თავის საქმეებზე დაიარებოდა პოლკოვნიკი ისაევი, სხვანაირად კი შტირლიცი, ფონ შტირლიცი, მაქს ოტო.

შტირლიცი შვეიცარიაში დაიარებოდა თავის საჯაშუშო საქმეებზე და ყველაფერი გამოსდიოდა. ბოლოს მთვრალი ქალიც კი შეხვდა სადგურის რესტორანში.

ჰოდა, ახლა ჩვენც შვეიცარიაში ვართ. არა, ჩვენ კი თბილისში ვართ, მაგრამ ჩვენი გუნდია შვეიცარიაში, სადაც არის მთელი მსოფლიოს ოქრო, გადასარევი ყველი და ხალხი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ორად გაიყოფოდა და ერთმანეთს ებრძოდა სხვადასხვა ქვეყნების დროშების ქვეშ.

საქართველოს ნაკრები იწყებს ახალ, მორიგ შესარჩევ ციკლს და გაუვლია ძალიან კარგი მოსამზადებელი შეკრება გერმანიაში. უკვე დაწესებულია პრემიები პირველ ორ ტურში ოთხი ან ექვსი ქულის აღებისთვის და ზოგადად ჯგუფში პირველ ან მეორე ადგილზე გასვლისთვის, ეს უკანასკნელი მილიონი დოლარი ყოფილა მთელ გუნდზე. პრემიები კარგია. მომზადება კიდევ უფრო კარგი. სამიზნედ ამოღებული პორტუგალიური სტადიონები მთლად უკეთესი.

აქ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ჩვენ ვიცნობთ საქართველოს ნაკრებს და გვინდა, რომ მოიგოს. რამდენად ეთანხმება ეს ორი რამ ერთმანეთს, გრძელი სალაპარაკოა, მაგრამ კაცი რომ ერთგულად ქომაგობდეს თავისი ქვეყნის ნაკრებს, საკვირველი კი არა, ბუნებრივია.

მაგრამ რახან კარგად ვიცნობთ საქართველოს ნაკრებს, ისიც ვიცით, რომ მას ბევრად მეტი წაუგია, ვიდრე მოუგია. ამიტომ მისგან სასწაულს სულაც არ ველით. ჩვენმა ნაკრებმა სასწაულები დაგვავიწყა. თუმცა, სასწაულიც ის არის, რომ არ ელოდები და მოხდება. გაუშვი, ფრეც გაგვეხარდება, ხომ უნდა გაგვეხარდეს? აქ გახარებაზეა ლაპარაკი, თორემ სტრატეგიის და შორს მიმავალი გეგმების იმედი ნაკლებია.

მოდი, გაგვეხარდეს.

ხვალ ფრე და მერე რუსეთს ვეომოთ. ხომ არის ხოლმე ფეხბურთში ასეთი რამეები?

თორემ სასწაულებს ნამდვილად არ ველით და არც შტირლიცი გვყავს, რომ თავის ჭკუაზე გაატაროს შვეიცარია.

ოდესღაც საქართველოს „საკეცკაია შვეიცარიას" უწოდებდნენ. მაშინ ნაკრები არ გვყავდა. ახლა ჰყავს და აღარც შვეიცარიაა. თუმცა ნამდვილი შვეიცარიაც არ არის ისეთი მხეცი, ტყეში შესვლის რომ შეგეშინდეს. ბოლოს და ბოლოს, შვეიცარია თურქეთს ვერ შეედრება, განსაკუთრებით წლეულს. მაგრამ ვის შეედრება საქართველო? აი, საკითხი, რომელიც გვაშფოთებს.

ეს პირველად გამოჩნდება ხვალ. თუმცა, არ გვინდა, რომ კიდევ ერთხელ გამოჩნდეს.

გვინდა, რომ პირველად გამოჩნდეს რაღაც ახალი და კარგი, თუმცა ისიც გვახსოვს, რომ ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

საქართველო მზადაა, ასეთი ამბები მოდიოდა შეკრებიდან.

ჩვენც ეგ გვინდა.

აბა, ვნახოთ და... გაგვეხარდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატებზე



უელსელთა შავი დღე თბილისში:
შოთა არველაძის მესამე გოლი ნევილ საუთჰოლის კარში

ყველაფერ პირველს განსაკუთრებული ხიბლი აქვს, ცხოვლად დააჩნდება კაცის სულს და გონებიდან აღარ იფხიკება...

გთხოვთ, იარაღით ნუ შეხვალთ სტადიონზე — აი, ასეც კი მიმართავდნენ ჩვენი იმდროინდელი საზოგადოების გავლენიან ფენას...

ეს 1995 წლის 26 აპრილს მოხდა, ჩვენს ეროვნულ გუნდს მსოფლიოს სამგზისა და ევროპის ორგზის ჩემპიონი ბუნდესნაკრები ეწვია.

შოთა არველაძემ ანდრეას კეპკე მოატყუა და გარედან მოარტყა ბურთი გერმანელთა კარის ბადეს, ხოლო გოჩა გოგრიჭიანმა ფეხებში გაარტყა ბურთი კეპკეს.

მარიო ბასლერის არაჩვეულებრივი კუთხური და იურგენ კლინსმანის უზადო თავური, მერე შტეფან როიტერის რეიდი და კვლავ კლინსმანის გოლი.

ნამატჩევს ბერტი ფოგტსმა ჩვენს ნაკრებზე თქვა, თქვენი დრო მალე დადგება, დიდხანს ლოდინი არ დაგჭირდებათ, რადგან უკვე შეგიძლიათ, მეტოქეს თავბრუ დაასხათო. მწარედ შეცდა ფოგტსი...

ვინერვიულეთ ნიურნბერგის მატჩშიც, როცა თემურ ქეცბაიამ დააწინაურა საქართველოს ნაკრები, მაგრამ მერე სულ მთლად გადაგვთელეს ფოგტსის ბიჭებმა.

წავაგეთ ციკლის პირველი და ბოლო მატჩები მოლდოვასთან, ორჯერ მოვუგეთ ალბანეთსა და უელსს.

გულის კაი მოსაფხანი გამოდგა ბოლოსწინა მატჩი შინ ბულგარეთთან. მეორე ტაიმში კახა გოგიჩაიშვილმა ისე აიკლო მეტოქის მარჯვენა ფლანგი, ბულგარელთა საყრდენი იორდან ლეჩკოვი სულ ნაპერწკლებს ყრიდა, მაგრამ ხრისტო სტოიჩკოვმა ბულგარელთა ერთად-ერთი გოლი მაინც გაგვიტანა.

მას მერე, ორი წლის განმავლობაში ორჯერ გამოიცვალა მწვრთნელი ნაკრებში — ევრო 2000-ისთვის გუნდი ვლადიმერ გუცაევს ჩააბარეს. გუცაევმა შეცვლაზე შესულ არჩილ არველაძის წყალობით მოგებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ მწვრთნელსა და მოთამაშეებს შორის ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ ფეხბურთელებმაც ლამის ობსტრუქცია მოუწყვეს გუცაევს.

ნოდარ ახალკაცი ცოცხალი აღარ იყო. ფედერაციის პრეზიდენტად ახალარჩეულმა მერაბ ჟორდანიამ ნაკრებში იოჰან ბოსკამპს უხმო. ჰოლანდიელმა ერთი მატჩიც ვერ მოაგებინა გუნდს და მას მერე უცხოელი მწვრთნელი აღარც გვლირსებია.

ახლა, როგორც პირველ ჯერზე, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევს ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილი გუნდი იწყებს.

**დავით თამართჭილაძე**



ოსლოში ქართველთა დაცვას ტორე ანდრე ფლოსთან (№9) გამკლავება ძალიან გაუჭირდა



მურთაზ შელიამ „ეროვნულზე" იურგენ კლინსმანთან ვერაფერი გააწყო



სლოვენიელთა კარში ზაზა ჯანაშიას (№10) გატანილმა გოლმა საქართველოს ნაკრებს ვერა არგო

## ევრო 96. შესარჩევი ეტაპი

07.09.94 თბილისი
ეროვნული. 40 000 მაყურებელი
**საქართველო 0:1 მოლდოვა**

12.10.94 სოფია
ვასილ ლევსკი. 45 000 მაყურებელი
**ბულგარეთი 2:0 საქართველო**

16.11.94 თბილისი
ეროვნული. 45 000 მაყურებელი
**საქართველო 5:0 უელსი**
ქეცბაია (2), ქინქლაძე,
შ. არველაძე, გოგრიჭიანი

14.12.94 ტირანა
ქემალ სტაფა. 9 700 მაყურებელი
**ალბანეთი 0:1 საქართველო**
შ. არველაძე

29.03.95 თბილისი
ეროვნული. 80 000 მაყურებელი
**საქართველო 0:2 გერმანია**

26.04.95 თბილისი. ეროვნული
20 000 მაყურებელი
**საქართველო 2:0 ალბანეთი**
შ. არველაძე, ქეცბაია

07.06.95 კარდიფი
არმზ პარკი. 6 500 მაყურებელი
**უელსი 0:1 საქართველო**
ქინქლაძე

06.09.95 ნიურნბერგი
ფრენკენშტადიონი. 40 000 მაყურებელი
**გერმანია 4:1 საქართველო**
ქეცბაია

11.11.95 თბილისი
ეროვნული 45 000 მაყურებელი
**საქართველო 2:1 ბულგარეთი**
შ. არველაძე, ქინქლაძე

15.11.95 კიშინიოვი. „რესპუბლიკური
9 000 მაყურებელი
**მოლდოვა 3:2 საქართველო**
დ. ჯანაშია, კულიბაბა (ა.გ)

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 10 | 8 | 1 | 1 | 27:10 | 25 |
| ბულგარეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 24:10 | 22 |
| საქართველო | 10 | 5 | 0 | 5 | 14:13 | 15 |
| მოლდოვა | 10 | 3 | 0 | 7 | 11:27 | 9 |
| ალბანეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:16 | 8 |
| უელსი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:19 | 8 |

## ევრო 2000. შესარჩევი ეტაპი

05.09.98 თბილისი
ეროვნული. 45 000 მაყურებელი
**საქართველო 1:0 ალბანეთი**
ა. არველაძე

10.10.98 რიგა
დაუგავა. 4 000 მაყურებელი
**ლატვია 1:0 საქართველო**

14.10.98 ათენი
ოლიმპიური. 15 000 მაყურებელი
**საბერძნეთი 3:0 საქართველო**

27.03.99 თბილისი
ეროვნული. 20 000 მაყურებელი
**საქართველო 1:1 სლოვენია**
ზ. ჯანაშია

28.04.99 თბილისი
ეროვნული. 20 000 მაყურებელი
**საქართველო 1:4 ნორვეგია**
ზ. ჯანაშია

30.05.99 ოსლო
ულევალი. 18 263 მაყურებელი
**ნორვეგია 1:0 საქართველო**

05.06.99 თბილისი
ეროვნული. 15 000 მაყურებელი
**საქართველო 1:2 საბერძნეთი**
ქეცბაია

04.09.99 ლიუბლიანა
ბეზიგრადი. 8 000 მაყურებელი
**სლოვენია 2:1 საქართველო**
შ. არველაძე

08.09.99 თბილისი
ეროვნული. 10 000 მაყურებელი
**საქართველო 2:2 ლატვია**
შ. არველაძე, ჟვანია

09.10.99 ტირანა
ქემალ სტაფა. 6 000 მაყურებელი
**ალბანეთი 2:1 საქართველო**
შ. არველაძე

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 10 | 8 | 1 | 1 | 21:9 | 25 |
| სლოვენია | 10 | 5 | 2 | 3 | 12:14 | 17 |
| საბერძნეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:8 | 15 |
| ლატვია | 10 | 3 | 4 | 3 | 13:12 | 13 |
| ალბანეთი | 10 | 1 | 4 | 5 | 8:14 | 7 |
| საქართველო | 10 | 1 | 2 | 7 | 8:18 | 5 |

ხორვატი ივო შუშაკი („დინამო“), იტალიელი ჯანი კარნევალი („ვიტ ჯორჯია“) და უკრაინული წარმოშობის ბელგიელი ალექსანდრ შტელინი („ტორპედო“) დღესდღეობით მეტ-ნაკლები წარმატებით წვრთნიან ქართულ კლუბებს. შესაძლოა, ამ სამეულს უახლოეს მომავალში ტომით ბერძენი, გერმანიაში მცხოვრები პერუელი ლუის ცაკარიასი შეუერთდეს. 56 წლის ცაკარიასი რამდენიმე დღეა, თბილისშია და „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას არკვევს.

მართალია, მასსა და „ლოკომოტივს“ შორის შეთანხმება ჯერაც არ მიღწეულა, მაგრამ, სავარაუდოა, დიდი დროც არაა აქამდე დარჩენილი.

ჩია ტანის პერუელი სპეციალისტი საკმაოდ გულღია, ენამოსწრებული და ამასთან მეტად უბრალო კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს და „სარბიელსაც“ სიამოვნებით გაესაუბრა



# მოვიდა, წავიდა, მოვა ახალი მწვრთნელი

## ლუის ცაკარიასმა შვეიცარიაში უნდა ნახოს ის...

— მოკლედ თქვენი საფეხბურთო კარიერის შესახებ. სად მუშაობდით თბილისში ჩამოსვლამდე?

— 1978 და 1982 წლების მსოფლიოს ჩემპიონატზე პერუს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ვიყავი. ვწვრთნიდი პერუს ჭაბუკთა ნაკრებსაც. ბოლოს კი რამდენიმე გერმანული კლუბი გამოვიცვალე.

— დიდი ხანია, ევროპაში საქმიანობთ?

— ახლაც გერმანიაში ვცხოვრობ. პერუდან წამოსვლის შემდეგ გერმანიის მკვიდრი ვარ.

— ქართულ ფეხბურთზე თუ გსმენიათ რამე?

— როგორ არა. ვიცი გიორგი ქინქლაძე, რომელიც ინგლისურ „მანჩესტერ სიტიში“ თამაშობდა და ახლა „დერბი ქაუნთიშია“. ქინქლაძე ძალიან კარგი ფეხბურთელია.

— სხვა ვინ იცით ქართველი ფეხბურთელებიდან?

— „ფრაიბურგიდან“ იაშვილი, ცქიტიშვილი, კობიაშვილი. კიდევ ვიცი ერთი, კიოლნელი არველაძე.

— უკვე მეორე დღეა „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობას ხვდებით. რა ეტაპზეა მოლაპარაკება?

— ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაფერია. ახლაც რკინიგზის დეპარტამენტში უნდა წავიდე. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება.

— „ლოკომოტივზე“ თუ გაქვთ რაიმე წარმოდგენა?

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. გუნდს არ შევხვედრივარ.

— თბილისში როდემდე გაჩერდებით?

— ხვალ გერმანიაში მივფრინავ. მერე შვეიცარიაშიც ჩავალ. საქართველოში კი 20 სექტემბრისთვის უნდა ჩამოვიდე და „ლოკომოტივთან“ ჩემი ურთიერთობაც გაირკვევა.

— შვეიცარიაში რა გაინტერესებთ?

— შვეიცარია — საქართველოს მატჩს დავესწრები. ვფიქრობ, კარგი თამაში იქნება.

— მხოლოდ კარგი თამაშის სანახავად მიდიხართ?

— მაინტერესებს, როგორ ითამაშებს ლომაია და ის... (ლუის ცაკარიასმა გვარი ვერ გაიხსენა და ხელების მოძრაობით გვანიშნა, მსუქანიო).

— ჯანაშია.

— დიახ, ჯანაშია. ძალიან კარგი ფეხბურთელია...

ამის შემდეგ ლუის ცაკარიასი თავაზიანად დაგვემშვიდობა სამომავლო შეხვედრის იმედით...

**ბაჩა ზალამბერიძე**
**სერგი ძორიძე**

!

ლუის ცაკარიასი, ოთხი ქალიშვილის 56 წლის ბერძენ-პერუელ-გერმანელი მამა 25-წლიანი სამწვრთნელო კარიერით.

ცაკარიასი თავის დროზე პერუს ჭაბუკთა ნაკრებს წვრთნიდა. 35 წლისა 1983-ში მეორე ბუნდესლიგის „დუისბურგში“ დაუნიშნავთ და სამი სეზონის განმავლობაში თავკაცობდა გერმანულ კლუბს. მერე იყო ნორდჰაუზენის სამოყვარულო „ვაკერ 90“.

გერმანიაში პატარა სამხრეთ ამერიკელად წოდებული ცაკარიასი 1999 წელს პერუში ბრუნდება და იქაურ „LAUN TENNIS“-ის ფეხბურთელებს აპერტურაში რამდენიმე ტურის მანძილზე ხელმძღვანელობს. მერე ისევ გერმანული ლიგები და ცაკარიასი ბედმა საქართველოში ჩამოიყვანა.

რკინიგზელთა სტუმარი კი ამბობს, 1978 და 1982 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ვიყავიო, მაგრამ ზოგ წყაროებში მარკუს კალდერონისა და პადუა ლიმას ოფიციალურ ასისტენტებად სულ სხვა ხალხი მოიხსენიება.

# ოთარ კორღალიძემ შესარჩევისთვის შეარჩია

## კუდი ჩანს, ხვლიკია თუ ნიანგი, ვნახოთ



ოთარ კორღალიძე

**22 ოქტომბერს** საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები თბილისში ბელგიელ, უკრაინელ და ფარერელ თანატოლებს იწვევს და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიც გაზურდება.

ცხრამეტწლამდელთა თავკაცმა ოთარ კორღალიძემ გუშინ ნაკრების კანდიდატები შეკრიბა და ვაკის სტადიონის სათადარიგო მოედანზე „ლოკომოტივს“ გააჯიბრა.

თავის მხრივ რკინიგზელებმა წარმატებული დებიუტი მოუწყვეს ზაურ სვანაძეს და 3:2 გაიმარჯვეს. მასპინძელთაგან გოლები რუსიამ, კვარაცხელიამ პენალტით და მორჩილაძემ გაიტანეს, რასაც ცხრამეტწლამდელებმა ბარბაქაძის გოლით და ჭელიძის ზუსტი თერთმეტმეტრიანით უპასუხეს.

შესარჩევ ეტაპამდე თვენახევარია დარჩენილი. კორღალიძესაც ურიგო ბიჭები როდი შეუკრებია — დაცვაში ჭელიძე, შუა ხაზში ტექნიკური ბურნაძე და მებრძოლი დემეტრაძე, თავდასხმაში დაუოკებელი იაშვილი და სხარტი ბარბაქაძე გამოირჩევიან. კორღალიძის გუნდიდან ბევრი პირველად ვნახეთ საქმეში და ნიჭიერი ახალგაზრდები ჩანან.

ოთარ კორღალიძის თქმით, ცხრამეტწლამდელთა გუნდის კანდიდატთა სია უფრო ვრცელია და თავის გამოჩენის შანსი ყველას მიეცემა.

ზაურ სვანაძემ კი განსხვავებული სისტემით ათამაშა „ლოკომოტივი“. 3 მცველი, 5 ნახევარმცველი და 2 გამოკვეთილი ფორვარდი გაიყვანა მწვრთნელმა მოედანზე. მალე ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში გამოძახებული ფეხბურთელებიც დაბრუნდებიან და რკინიგზელებიც უფრო დალაგდებიან.

**გამუკა ძგანტალიანი**

# ურალანმა ძოძუაშვილს თოდუა დაუჯერა

**ელისტურ „ურალანში“** გათავკაცებულმა რევაზ ძოძუაშვილმა „მუდამ მასთანა მყოფელი“ ქართველი მცველი სევასტი თოდუა რომ მიიწვია, უკვე გაუწყეთ.

ახლა კი გაირკვა, რომ ელისტელებმა თოდუასთან მოლაპარაკება წარმატებით დაასრულეს და ფეხბურთელის განაცხადში შეყვანაც მოასწრეს.

— თოდუა უკვე ურალანელია. ერთადერთი პრობლემა მისი განაცხადში შეყვანა იყო, თუმც რუსებმა ძოძუაშვილის მოთხოვნით ესეც მოასწრეს. ვიზა კი თოდუას მხოლოდ ამის შემდეგ გაუკეთეს — გვითხრა გუშინ ქუთაისის „ტორპედოს“ მენეჯერმა ვლადიმერ პანოვმა.

ასე რომ, შესაძლოა, სევასტი თოდუა „ურალანში“ რუსული პრემიერლიგის მომავალ ტურშივე გამოჩნდეს.



სევასტი თოდუა

თოდუასა და ძოძუაშვილის თანამშრომლობა თბილისური „ლოკომოტივიდან“ დაიწყო. მაშინ რკინიგზელთა თავკაცმა ახალგაზრდა მცველი „ვიტ ჯორჯიადან“ გადაიბირა, მერე ქუთაისის „ტორპედოშიც“ იახლა, ახლა კი „ურალანშიც“ წაიყვანა. „ტორპედომ“ ფეხბურთელი ელისტურ კლუბში სეზონის ბოლომდე გაანათხოვრა, თუმც გამორიცხული არაა, თოდუა უფრო მეტ ხანსაც შერჩეს რუსეთს. თუკი ელისტელები მის შეძენას გადაწყვეტენ, „ტორპედო“ მოლაპარაკებაზე უარს არ იტყვის.

— ყველაფერი ამ სამ თვეში გაირკვევა. თუ „ურალანმა“ პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნა და რევაზ ძოძუაშვილიც გუნდში დარჩა, მაშინ დიდი შანსი იქნება, ელისტელებმა სევასტი შეიძინონ — დასძინა ვლადიმერ პანოვმა.

შეგახსენებთ, რომ რევაზ ძოძუაშვილის თავკაცობით „ურალანმა“ ორი მატჩი ჩაატარა და ოთხი ქულაც შემატა აქტივს. ჯერ იყო და, ქართველი მწვრთნელის სადებიუტო მატჩში „სპარტაკს“ დააკარგვინა ოქროს ქულები, მერე კი აშვეთია-დემეტრაძის „ალანია“ გაიკრა ბეჭებზე. ახლა „ურალანი“ სატურნირო ცხრილის შუაში ნებივრობს და მომავალ მატჩებსაც იმედის თვალით შესცქერის. ელისტელების მიზანი ამ სეზონში პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, რაც თითქოს არ უნდა გაუჭირდეთ.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# ვალერი აბრამიძეს თბილისი მოარჩენს



**ᲐᲬ ᲣᲙᲕᲔ** ყოფილი ტორპედოელი, საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი, ახალგაზრდულ ნაკრებსა და ეროვნულში ნათამაშევი ვალერი აბრამიძე ორიოდ თვის წინ მოსკოვის „სპარტაკში“ ჩაირიცხა. მანამდე ასევე მოსკოვური კლუბების, ცსკა-სა და „დინამოს“ ყურადღებაც მიიპყრო, მაგრამ სახალხო „სპარტაკში“ დარჩენა თავად აბრამიძემ ინდომა.

... დაიწყო ვარჯიში, ოლეგ რომანცევმა ორჯერ ჩემპიონატის მატჩებში შეცვლაზეც ათამაშა და ის იყო, ახლობლები აბრამიძის ძირითადში გამოჩენას ელოდნენ, რომ ერთ-ერთი წვრთნისას დაშავდა. ვალერის აქილევსის მყესები დაუზიანდა და გვარიანი ხნით საქმიოც შეიქნა.

გუშინ აბრამიძე ვაკეში, „ლოკომოტივისა“ და ცხრამეტწლამდელთა ნაკრების ამხანაგურ მატჩს დაესწრო. რუსულ ჩემპიონატში, ისევე როგორც მთელ ევროპაში, შესვენებაა გამოცხადებული და ჩვენებური მცველიც შინაურების მოსანახულებლად ჩამოსულა.

„მკურნალობის კურსს გავდივარ, ფეხი ისე მაწუხებს, ბურთს ვერ ვურტყამ. ახლა ნემსები გავიკეთე და უკეთესობას ვგრძნობ. ექიმების თქმით, ათ დღეში ვარჯიშიც შემეძლება“ — გვითხრა გუშინ აბრამიძემ, რომელსაც გადაუწყვეტია, კონსულტაციები აქაურ დასტაქართაგანაც მიიღოს. მოსკოვში დაბრუნებას კი ჩვენებური მცველი ორიოდ დღეში აპირებს.

**გამუკა ძგანტალიანი**

# ვის ჩამოუშვებს შტელინი ტორპედოს?

**30 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ** „ტორპედომ“ ზესტაფონში „მეტალურგს“ 2:0 სძლია. ეს მატჩი ოფიციალური, ჩემპიონატის მე-8 ტურისა იყო. გუშინ იმერული კლუბები ისევ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ოღონდ ამხანაგურად, თანაც ქუთაისში.

ტორპედოელებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე მოუწიათ თამაში, თუმც მეტოქეს სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს. ანგარიში „ტორპედოში“ გასასინჯად მყოფმა ლევან ჩაჩუამ გახსნა თავური დარტყმით. ჩაჩუა ბოლო დროს უკრაინის პირველლიგელ ტერნოპოლის „ნივაში“ თამაშობდა, მანამდე კი „გორდასა“ და „ლოკომოტივში“. მეორე და მესამე ზესტაფონელებს ზურაბ იონანიძემ გაუტანა.

ტორპედოელთა შორის 70 წუთი საკმაოდ კარგად გაისარჯა შოთა ჩომახიძე როგორც ვიტყობინებოდით, ეს ფეხბურთელი სიმფეროპოლის „ტავრიადან“ წამოვიდა. „ხატულას“ ქუთაისურ გუნდში მოხვედრის დიდი შანსი აქვს, სავარაუდოდ, „ტორპედო“ მას მომავალ კვირაში შეიყვანს განაცხადში.

გუშინდელ საწვრთნელ თამაშს არ დასწრებია „ტორპედოს“ თავკაცი ალექსანდრ შტელინი. როგორც ქუთაისური კლუბის ვიცე პრეზიდენტმა შედან ნანიკაშვილმა გვითხრა, შტელინი უკრაინაში იმყოფება მოკლევადიანი მივლინებით და არ არის გამორიცხული, იქიდან ორი-სამი „ტორპედოსთვის“ სასურველი მოთამაშე გამოიყოლოს.

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

# ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 7-8 სექტემბერი

## ჩვენი ჯგუფი

### დღეს. 22.00. რუსეთი – ირლანდია



ვიქტორ ონოპკოს და ჯეისონ მაკატირს ჯიჯგური კვლავაც მოუწევთ

# ჯერ ლუდი, მერე გუნდი

## მაკარტის დაბოლების არ ეშინია

**გუშინ** ირლანდიელები მოსკოვში ჩაფრინდნენ. მათ ჩასვლამდე რუსთა დედაქალაქს გულშემატკივრებიც ეწვივნენ. უმეტესობა ქალაქის ლუდხანებს ეძებდა „გინესის" მოსაწრუპად. მავანმა ირლანდიელმა, თერძმა ჯეკმა, ჟურნალისტის კითხვაზე, დახვდებოდა თუ არა ნაკრებს აეროპორტში, მიუგო, ჯერ ჩავლუდიანდები, ნაკრების ნახვა მატჩზეც მოხერხდებაო.

ფეხბურთელებს რუსული ომონი დაუხვდა. ომონელებს ირლანდიიდან ჩასული კოლეგებიც ეხმარებოდნენ, მხოლოდ თქვენს იმედზე ვერ ვიქნებითო. ჟურნალისტებს ფეხბურთელებთან გასაუბრება ეწადათ, მაგრამ დემიენ დაფისგან და ჯეისონ მაკატირისგან მხოლოდ ის შეიტყვეს, რომ კალმიან-კამერიანებთან ურთიერთობა აკრძალული აქვთ. სამაგიეროდ, ჟურნალისტებს ირლანდიელმა მცველმა უპასუხა: „ერთი საათი ბარგს ველოდით, ვარჯიშზე გვაგვიანდება, მთავარი მწვრთნელი თუ ორ სიტყვას გაიმეტებს, ჩათვალეთ, რომ ძალიან გაგიმართლათ."

მიკ მაკარტი გასაუბრებას არ დაზარდა: „გაზეთებიდან შევიტყვე რაღაც ხანძრის შესახებ. თითქოს ეკოლოგიური მდგომარეობაა არასახარბიელო. რას ვიზამთ, ბუნება მბრძანებელია, თუმცა აეროპორტიდან გამოსვლისას საგანგაშო არაფერი შემიმჩნევია. გარშემო სიწყნარეა. არ მგონია, მატჩის გადადების საკითხი სერიოზულად დადგეს. რუსეთს კარგი გუნდი ჰყავს და ფრითაც კმაყოფილი ვიქნები, ოღონდ, როგორც ყოველთვის, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ისე, მოსკოვში ნამყოფი ვარ. თუ არ ვცდები, 1985-ში შესარჩევ მატჩში სსრკ-სთან 0:2 დავმარცხდით."

მწვრთნელ-ფეხბურთელ-გულშემატკივრის გარდა ირლანდიელებს წმინდა პატრიკის კათოლიკური მონასტრის მონაზონიც ახლავთ. როგორც გაირკვა, ყველა გასვლით მატჩზე გუნდს ერთი მონაზონი მაინც დაჰყვება.

რუსთა ბანაკში გაზაევის მისვლის შემდეგ დიდი ოპტიმიზმის სუნი ტრიალებს. მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებს პიმენოვი და პოპოვი დააკლდნენ, გაზაევი გუნდს, ალბათ, მაინც ჩვეულად, ისევე როგორც ცსკა-ში, შემტევ ფეხბურთს ათამაშებს.

დღეს რუსები ბესჩასტნიხის და კერჟაკოვის იმედად არიან. მათ დასახმარებლად მწვრთნელმა ბოლო მომენტში არმიელ კირიჩენკოსაც უხმო, რომლის შორეულ-ძლიერი დარტყმების იმედი აქვს.

ზენიტელი კერჟაკოვი ის კაცია, შვედებთან დებიუტი რომ ჰქონდა და გოლიც გაიტანა: „ნაკრები ახლა უფრო დინამიურ ფეხბურთს თამაშობს. სწრაფად გადადის დაცვიდან შეტევაში. ასე გვათამაშებდა გაზაევი, როცა ახალგაზრდულ ნაკრებს წვთნიდა. რაც შეეხება ირლანდიას, მათი თამაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ვნახე. მებრძოლი, მობილური და სწრაფი ფეხბურთელები ჰყავთ."

ვლადიმირ ბესჩასტნიხი: „ირლანდიელებთან თებერვალში ამხანაგურად ვითამაშეთ და დავმარცხდით. საერთოდ, ბოლო წლებში მათი მანერა ოდნავ შეიცვალა. ადრე უფრო ტლანქ, არცთუ სწრაფ ფეხბურთს თამაშობდნენ. დღეს ეს გუნდი ძალიან კარგად დაბალანსებულია. არც სისწრაფე აკლიათ და ბურთსაც მშვენივრად ფლობენ. რა უნდა დავუპირისპიროთ მათ? უბრალოდ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ საგოლე მომენტები. დარწმუნებული ვარ, ისინი ნამდვილად გვექნება. ჩვენ პატივს ვცემთ მეტოქეს, მაგრამ არ გვეშინია."

ახლა მოსკოვისა და მისი შემოგარენის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. სპორტული მედიცინის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი ზურაბ ორჯონიკიძე თვლის, რომ ასეთ პირობებში თამაში შესაძლოა, ჯანმრთელობისთვის საზიანო აღმოჩნდეს. მიუხედავად ამისა, მატჩის ჩატარება-არჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას უეფას დელეგატი, ავსტრიელი გერჰარდ კაპოლე მიიღებს, რომელიც მოსკოვში დღეს დილით ჩაბრძანდება.



მიკ მაკარტის მოსკოვურმა ჰაერმა ჯერ არ აწყინა

**გაგა ხუციშვილი**

## I ჯგუფი

### დღეს. 22.30. კვიპროსი – საფრანგეთი

# ფრანგებს ლაღობა დააკვიწყეს

## საათი გადაწიეთ, ბატონებო

**აბა**, ჟაკ სანტინი, თქვენ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ხართ! დღეს ევროპის ჩემპიონი, კვიპროსზე, ევროპის ჩემპიონატს იწყებს.

„ჩვენ ვალდებულნი ვართ 2004 წელს პორტუგალიაში ჩავიდეთ — ამბობს სანტინი, ფრანგთა ახალი მწვრთნელი — ჩვენ ვალდებულნი ვართ, შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავოთ. მე ვუთხარი ფეხბურთელებს, რომ ლურჯი, ფრანგული მაისურის ჩაცმა დიდი პატივია."

ზინედინ ზიდანი, საფრანგეთის ნაკრების ვარსკვლავი: „მწვრთნელმა ყველას შეგვახსენა, რომ ჯერ ბევრი სამუშაო გვაქვს. ყველა ყველას უნდა დაუდგეს მხარში."

ემანუელ პეტი, საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი: „ჩვენ ახალი ეპოქა უნდა დავიწყოთ და, ამიტომ, დღეს გამარჯვებაა საჭირო."

ახალ ეპოქასთან დაკავშირებით პეტი მართალია: დღეს, კვიპროსზე წაყვანილ 20 ფეხბურთელს შორის ოთხი წლის წინანდელი მსოფლიოს ჩემპიონი მხოლოდ ხუთია.




ჟაკ სანტინი ჩასაფრებულია, ვინმემ არ გაილაღოს

REUTERS

სხვათა შორის, ჟაკ სანტინიმ სანაკრებო ცხოვრებაში ახალი წესები შემოიღო. კერძოდ, შეკრებაზე ჩასულ ფეხბურთელებს ახლობელ-ნათესავთა მონახულება მნიშვნელოვნად შეეზღუდებათ, ვარჯიშების შემდეგ ქალაქში გასვლა აიკრძალა, ხოლო სპონსორთა ღონისძიებებზე ლაღობა მინიმუმამდე დავიდა.

ამასობაში კი გაირკვა, რომ მატჩი, რომლის მოგებაც ლურჯთათვის ასე მნიშვნელოვანია, ფრანგული ტელევიზიის მოთხოვნით, 90 წუთით ადრე დაიწყება.

აქამდე ნიქოზიის სტადიონზე ბურთის გაგორებას საფრანგეთის დროით საღამოს რვის ნახევარზე აპირებდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ TF1-ზე ხალხი ახალ ამბებს ვერ მოუსმენდა. ამასთან ჩაიყლაპებოდა შოუ „ვარსკვლავთა აკადემია", რომელსაც შაბათობით მთელი საფრანგეთი უცქერის.

ჟაკ სანტინის განცხადებით, ამას მისი ნაკრებისთვის პრინციპში ბევრი არაფერი შეუცვლია, თუმცა კვების განრიგის გადასხვაფერება მოუწევს და, საერთოდაც, ფრანგი ფეხბურთელები თამაშს საღამოობით არიან დაჩვეულნი.

ხოლო კვიპროსის ნაკრებმა დაშავებული თავდამსხმელის, მიხალის კონსტანტინუს მაგივრად ტომით გერმანელი რაინერ რაუფმანი აიყვანა. ეს რაუფმანის დებიუტია კუნძულის ნაკრების შემადგენლობაში. იგი კვიპროსის მოქალაქეა და ოთხი წელიწადია იქ თამაშობს. რაინერ რაუფმანი ნიქოზიის „ომონიას" წევრია.

**ბაჩუნა ძიძია**

### დღეს. 23.15. სლოვენია – მალტა

## II ჯგუფი

### დღეს. 19.00. ნორვეგია – დანია

# დიდი ვიკინგობა

## სემბი დანიელთა ფარული აგენტია

**ევროპის** ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ ტურში ერთი გამორჩეული შეხვედრაა. დღეს ოსლოში ვიკინგთა დიდი ჯახი შედგება — ნორვეგია დანიას უმასპინძლებს. ჩრდილოელთა შებმას წინ დიდი ვნებათაღელვა უსწრებს.

დანიური პრესა მადლობას უძღვნის ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციას, ნაკრების სათავეში ნილს იოჰან სემბი რომ დატოვა. დანიელთა აზრით, მისი გაწვრთნილი ნაკრები ამაზრზენ ფეხბურთს აჩვენებს და მათი თანამემამულენი აუცილებლად დაამარცხებენ მეტოქეს. სემბი კი პასუხობს: „თქვენ გგონიათ, რომ ჩვენზე უკეთესი ნაკრები გყავთ. გაჩვენებთ, ვინ ვის დაამარცხებს."

რაც შეეხება შემადგენლობებს, დანიელთა დამრიგებელი მორტენ ოლსენი დიდ დანაკლისს განიცდის. გუნდს დააკლდებიან კაპიტანი რენე ჰენრიკსენი, რეინჯერსელი პეტერ ლოვენკრადსი და უდინეზელი მარტინ იოგენსენი, აგრეთვე საეჭვოა ეინდჰოვენელი რომედალის თამაშიც. მის ნაცვლად ოლსენმა სასწრაფოდ გამოიძახა კოპენჰაგელი ტომას ლარსენი.

ოლსენის დარად, სემბიც განიცდის დანაკლისს, მაგრამ არც ისე შთამბეჭდავს. იგი მხოლოდ აუსტრიელ რუშფელდტს მოისაკლისებს. მას სავარაუდოდ საგანგებოდ გამოძახებული შვედური ჰამარბელი ფრედერიკ ვინსნესი შეცვლის. სემბს საამბატჩოდ კონსულტანტად „უიმბლდონის" ყოფილი მწვრთნელი, ინგლისში „გადარეულ პროფესორად" მონათლული ეგილ ოლსენი ეყოლება. თავის დროზე იგი ნორვეგიელთა მწვრთნელის პოსტზე სწორედ სემბმა შეცვალა.

**ზურაბ რუხაძე**

### დღეს. 23.15. ბოსნია – რუმინეთი

# რუმინელთა დამხვედრი თითქმის არავინაა

**ბოსნია** სარაევოში რუმინეთს თავისი ცნობილი სახელების გარეშე დაუხვდება. ნაკრებში არ მიუწვევიათ ჰამბურგელი სერგი ბარბარესი და ქოვენტრელი მუჰამედ კონჯიჩი. გალათასარაელი ელვირ ბალიჩი, ისევე როგორც რაიოვალეკანოელი ელვირ ბოლიჩი, ტრავმირებულები არიან. საეჭვოა, ფრაიბურგელ მცველ ზლატინ ბაირამოვიჩის თამაშიც. ბოსნიელთა მწვრთნელ ბლაც სლიშკოვიჩის თქმით, ბაირამოვიჩის საკითხი უახლოეს ხანში გაირკვევა. რაც შეეხება ყველაზე ცნობილ ბოსნიელს, ჰასან სალიჰამიჯიჩს, „ბაიერნის" ნახევარმცველმა ტრავმა მოიშუშა და, ალბათ, რუმინეთსაც დაუპირისპირდება.

**სერგი ძორაძე**



ჰასან სალიჰამიჯიჩმა ყავარჯნები გადააგდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 7-8 სექტემბერი

## III ჯგუფი

### დღეს. 23.30. ჰოლანდია – ბელარუსი

# ბელარუსი ჩვენ რას დაგვაკლებს...



სანამ დიკ ადვოკაატი ფიქრობს ...

**დღეს**, ნაიმეგენში, ჰოლანდია ბელარუსს ხვდება, მაგრამ შეხვედრაც არის და შეხვედრაც: „ნარინჯისფერებმა“, მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება ვერ მოიპოვეს და ამით საკმაოდ შეურაცხყოფილნი, ახლა, ევრო 2004-ისკენ იწყებენ გზის კაფვას.

ახლა ჰოლანდიის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს — დიკ ადვოკაატი. თუმცა ადვოკაატზე ახალი საკმაოდ პირობითად ითქმის, ვინაიდან ეს სპეციალისტი ამ თანამდებობაზე ადრეც გახლავთ ნამუშევარი.

„შურისძიების გრძნობა მეტისმეტად გამძაფრებული გვაქვს. ჩვენ ხომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოვხვდით და ამან ძალიან გაგვაწბილა — თქვა „ბარსელონას“ და „ნარინჯისფერების“ ფორვარდმა პატრიკ კლუივერტმა, ოღონდ შურისძიების ობიექტი ვინმე კონკრეტულადაა თუ ზოგადად უიღბლობა, არ დაუკონკრეტებია — ახლა ახალ მწვრთნელთან ერთად ყველაფერს თავიდან ვიწყებთ. ასე რომ, ერთი სული გვაქვს, როდის გავალთ მოედანზე. თუ ჩვენს გუნდს დააკვირდებით, მიხვდებით, რომ ამ შეხვედრაში ჩვენი დამარცხება უძნელესი საქმე იქნება.“

დაახლოებით ასე ფიქრობს ადვოკაატიც: „გვწამს, რომ ევრო 2004-ზე მოხვედრის ძალა შეგვწევს, რადგან ინდივიდუალურად ძალიან ძლიერი ფეხბურთელებით ვართ დაკომპლექტებული. ამასთან, ვფიქრობ, ეს ფეხბურთელები სიამოვნებით წარმოაჩენენ თავს საუკეთესო მხრიდან, ხოლო ეს ყველაფერი ჰოლანდიის ნაკრებს პორტუგალიაში გასამგზავრებლად ეყოფა.“

რაც შეეხება ბელარუსის ნაკრებს, მოგეხსენებათ, ამ გუნდს მთავარი მწვრთნელი, ედუარდ მალოფეევი ავად გაუხდა და უცნობია, იქნება თუ არა ნაიმეგენში შეგირდების დასამოძღვრად.

**ბაჩუნა ძიდია**



... სანდერ ვესტერფელდი და რუუდ ვან ნისტელროოი თავს ირთობენ

### დღეს. 20.00. ავსტრია – მოლდოვა

## IV ჯგუფი

### დღეს. 23.00. სან მარინო – პოლონეთი

**პოლონეთის** ნაკრები ევროშესარჩევ ციკლს სტუმრად სან მარინოსთან იწყებს. ახალი მწვრთნელის, ზბიგნევ ბონეკის ერთ-ერთი პრობლემა ნაკრების ძირითადი მეკარის ირჟი დუდეკის „ნიუკასლთან“ მიღებული ტრავმაა. ლივერპულელს პოლონეთის კარში გროკლინელი მარიუს ლიბერდა შეცვლის. თავად ბონეკის აზრით, დუდეკის არყოფნა გუნდს დიდად არ დაეტყობა და მისი ბიჭებიც სან მარინოდან 3 ქულით წამოვლენ.

პოლონელთა სასტარტო შემადგენლობაში დონეცკის შახტარელი ვიცეკ კოვალევსკიც შეიძლება გამოჩნდეს.

### დღეს. 22.00. ლატვია – შვედეთი

## V ჯგუფი

### დღეს. 22.30. ლიტვა – გერმანია



მიხაელ ბალაკი დისკვალიფიკაციას უფრთხილდება

# რისთვის ცხოვრობენ ლიტველები?

**მსოფლიოს** ჩემპიონატის ფინალში შემთხვევით არ ხვდებიან და, ამის დამტკიცებას დღეს გერმანიის ნაკრები ლიტველებთან შეხვედრით დაიწყებს.

„ჩვენ ბევრი რამ გვაქვს დასაკარგი — თქვა გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავმა მიხაელ ბალაკმა — ჩვენ ხომ აშკარა ფავორიტებად ვითვლებით. ამასთან მერწმუნეთ, გერმანიის ნაკრებს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი ჯერ არ გამოუვლენია. წინ ორი დიდი შეჯიბრება გველის, 2004 წლის ევროპისა და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატები და ორივეში ჩვენ მთავარ როლს ვითამაშებთ.“

გუნდის მწვრთნელმა, რუდი ფიოლერმა კი განაცხადა, რომ აგვისტოში, სოფიაში, ბულგარეთთან ნათამაშევი 2:2-ის გამო შორს მიმავალი დასკვნების გამოტანა საჭირო არ არის, რადგან იმ დღეს მისი ფეხბურთელების დიდი ნაწილი დაშავებული იყო.

ამჟამად, კაუნასში ჩასვლის წინ, ფიოლერს სადარდებელი ნაკლები აქვს. ბალაკი, ნახევარმცველი იორგ ბომე და თავდამსხმელი კარსტენ იანკერი, სავარაუდოდ სასტარტო შემადგენლობაში იქნებიან. გერმანელთა შორის ვერ ვიხილავთ იენს ნოვოტნისა და კრისტიან ვიორნსს, თუმცა მათ არყოფნას გულშემატკივარიცა და მწვრთნელიც კარგა ხანია, შეჩვეულები არიან. ისინი ხომ სერიოზული ტრავმების გამო მსოფლიოს ჩემპიონატზეც არ იყვნენ.

„ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ნახევარმცველმა კრისტიან ციგემ ნაკრების ხელმძღვანელობას დედის გარდაცვალების გამო განთავისუფლება სთხოვა.

„წლეულს დარჩენილ შეხვედრათა შორის ეს ყველაზე მნიშვნელოვანია“ — განმარტა ფიოლერმა, რომელსაც ლიტველებთან თამაშის გარდა ახალ წლამდე ფარერელებთანაც მოუწევს გაჯიბრება.

რაც შეეხება ლიტველების მწვრთნელს, ბენიამინას ზელკევიჩუსს, იგი თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდისგან ცხოვრების მთავარი მატჩის გამართვას მოითხოვს.

„დიახ, ჩვენთვის, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის მასპინძლობა ცხოვრების უმთავრეს მატჩში მონაწილეობას ნიშნავს — ბრძანა ზელკევიჩუსმა — თუ ფეხბურთელები მთელი გულით ითამაშებენ, შესაძლოა იგივე სენსაცია მოვახდინოთ, იტალიასთან რომ შევძელით.“

იტალიასთან კი ლიტველებმა, თუ გახსოვთ, 0:0 ითამაშეს. მაშინ იტალია და ლიტვა საქართველოსთან ერთად იბრძოდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად.

**ბაჩუნა ძიდია**



ლიტველები ოლივერ კანის კარში ამდენ ბურთს ნაღდად ვერ გაიტანენ

### დღეს. 19.00. ფარერები – შოტლანდია

# ფარერელთა ბრძოლა სქოთებს არ აწერვიულებთ

**„ფარერელთა** შეუფასებლობა არ იქნება“ — აფრთხილებს სრულიად შოტლანდიას ბერტი ფოგტსი.

„ისინი იბრძოლებენ, იბრძოლებენ და იბრძოლებენ ისეთი დიდი საფეხბურთო ერის წინააღმდეგ, როგორიც შოტლანდიაა“ — ესეც ფოგტსის სიტყვებია.

მოკლედ, სქოთთა გერმანელმა მოძღვარმა გუდას პირი მოხსნა და საგანგებო პრესკონფერენციაზე ერთობ ენაწყლიანად ესაუბრა ბრიტანელ ჟურნალისტებს.

ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში ამ გუნდების შეხვედრა ფარერებზე ფრედ, 1:1 დამთავრდა. ფოგტსი, რომელმაც იმ მატჩის ვიდეოჩანაწერსაც უყურა და ფარერების ამასწინანდელ ამხანაგურ თამაშსაც ლიხტენშტეინთან, დარწმუნებულია, რომ მეტოქე მის გუნდს განსაკუთრებული შემართებით დაუხვდება: „ჩემმა ფეხბურთელებმა მხოლოდ თავიანთ თამაშზე უნდა მიმართონ ყურადღება და არავითარ შემთხვევაში იმაზე რომ ფარერებს ეთამაშებიან.“

ფოგტსის სიფრთხილე სავსებით გასაგებია. მისმა გაწვრთნილმა შოტლანდიის ნაკრებმა ხუთივე ამხანაგური მატჩი წააგო. საფრანგეთი, ნიგერია, სამხრეთ კორეა, სამხრეთ აფრიკა და დანია — ამ გუნდებს ფოგტსი მსოფლიოში საუკეთესოებად მიიჩნევს და ამბობს, შოტლანდიის ნაკრებმა ფიფას რეიტინგში 123-ე ადგილზე მყოფ ფარერებთან აღარ უნდა წააგოსო.

„როცა ფეხბურთელი ვიყავი, გერმანიის ნაკრებს სულ პრობლემები ჰქონდა ალბანეთთან. 1968 წელს ევროპის ჩემპიონატის მიღმაც კი დავრჩით შესარჩევ მატჩში ალბანეთთან ნათამაშები ფრის გამო. ჩვენ მხოლოდ 90 წუთი გვაქვს გამარჯვების მოსაპოვებლად, მაგრამ შოტლანდია ამ თამაშისთვის არ ნერვიულობს. ჩვენ ახალგაზრდული, ძლიერი და კარგად მომზადებული გუნდი გვყავს და არც მე ვნერვიულობ“ — ამტკიცებს ფოგტსი.

ამ გერმანელ სპეციალისტს მოდით და ნურც იმის თქმას დავამადლებთ, რომ მისმა გაწვრთნილმა შოტლანდიამ ზაფხულის მკვდარ სეზონში ჰონკონგის ნაკრებს მოუგო ამხანაგური კი არა, უფრო საკონტროლო შეხვედრაში. სხვათა შორის, სააგენტო „როიტერი“ ამ საკონტროლო მატჩის ანგარიშსაც კი არ იუწყება.

ფოგტსმა ერთი მკაცრი ნაბიჯი უკვე გადადგა — ნაკრებიდან გარი ნეისმიტი გააგდო. ამ მცველს კოჭის ტკივილი აწუხებდა და ნაკრებში თამაშზე მიზეზობდა, მაგრამ „ევერტონში“ მაინც ითამაშა „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ პრემიერლიგის ბოლო ტურში.

შოტლანდიელებს ტრავმების გამო ვერ დაეხმარებიან „ლიდსის“ კაპიტანი დომინიკ მატეო და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ შეახაზელი დერეკ მაკინისი.

ფოგტსმა ისიც თქვა, ოთხი ისეთი კაცი უკვე შევარჩიე, რომლებიც ფარერებთან მატჩში სასტარტოში იქნებიანო. გერმანელი მწვრთნელის ასეთი პატივი მეკარე რობერტ დუგლასს (სელტიკი), ნახევარმცველებს — პოლ ლამბერტსა (სელტიკი) და ბარი ფერგიუსონს (რეინჯერსი) და „სანდერლენდის“ შემტევ კევინ კაილს ხვდათ წილად.

**დავით თამართძილაძე**



ბერტი ფოგტსი

# ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 7-8 სექტემბერი

## VI ჯგუფი

### დღეს. 23.45. საბერძნეთი – ესპანეთი

# თავისუფლები ხართ

## საესმა თავისი სისხლი გადაასხა



მიშელ სალგადო ბერძნებამდე ფერნანდო მორიენტესის იერიშს იგერიებს

REUTERS

**ინაკი საესის** განახლებული ესპანეთის ნაკრები პირველ შესარჩევ მატჩს საბერძნეთში ითამაშებს.

გუნდიდან ფერნანდო იეროსა და ლუის ენრიკეს წასვლის შემდეგ პირინეელთა ეროვნულმა გუნდმა ახალი სისხლი მოითხოვა, საესმაც თავისი ყოფილი სამწყსოდან, ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრებიდან მიიყვანა ფეხბურთელები.

განსაკუთრებით ბევრი ახალწვეულია დაცვის ხაზში — რაულ ბრავო, ხოსე ანტონიო გარსია კალიო და კარლოს მარკენა. ამ ბიჭებს ნაკრების ძირითადშემადგენლობაში დამკვიდრების საკმაოდ კარგი შანსი აქვთ.

თითქმის არ შეცვლილა შუა ხაზი, სადაც ამინდს რუბენ ბარახა, გაისკა მენდიეტა და ხუან კარლოს ვალერონი ქმნიან. თავდასხმა კი „რეალის" რაულ-მორიენტესის დუეტისგან შედგება. ნაკრებშია „ესპანიოლის" ფორვარდი რაულ ტამუდოც.

ინაკი საესი განსაკუთრებულ იმედებს მარჯვენაფლანგელ ხოაკინზე ამყარებს. შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატზე კორეასთან მეოთხედფინალში გადამწყვეტი პენალტის ამცილებელი ხოაკინია. თავად ყმაწვილი ვუნდერკინდი კი ესპანურ პრესასთან ინტერვიუებში სულ იმას იმეორებს, რომ ახალი მწვრთნელის ძალიან ეიმედება.

„ინაკი საესი გაცილებით მეტ თავისუფლებას გვაძლევს მოედანზეც და მის გარეთაც, ვიდრე ამას კამაჩო აკეთებდა" — თქვა „ბეტისის" ნახევარმცველმა.

რამდენად წაადგებათ ესპანელებს ეს თავისუფლება, სულ მალე გამოჩნდება.

**სერგი ჟორიძე**

## VIII ჯგუფი

### დღეს. 21.00. ხორვატია – ესტონეთი



ხორვატებს მთავარმცველი ალენ ბოკშიჩი (უკან) დააკლდებათ

# ვაი, ჩემო ბარძაყო

**ევრო 2004-ის** შესარჩევ ტურნირს ხორვატიის ეროვნული გუნდი ოსიეკში ესტონეთის ნაკრებთან მატჩით იწყებს. ხორვატთა ახალი დამრიგებელი ოტო ბარიჩი იმედოვნებს, წინა თვეში უელსთან ნათამაშები ფრის შემდეგ ჩემი შეგირდები შეძლებენ და ექსსაბჭოელებს წირვას გამოუყვანენო.

ბალკანელებს მთავარი მეგოლე, 32 წლის მიდლსბროელი ალენ ბოკშიჩი დააკლდებათ, რომელმაც პრემიერლიგის ბოლო ტურში ბარძაყის კუნთი დაიზიანა. ასე რომ, თავდასხმაში ვოლფსბურგელ ტომისლავ მარიჩს მეწყვილეობას გრასჰოპერელი მლადენ პეტრიჩი ან ზაგრების დინამოელი ივიცა ოლიჩი გაუწევენ.

ოტო ბარიჩს პრობლემები უკანა ხაზშიც შეექმნა — ბუნდესლიგელი იოსიპ სიმუნიჩი და რობერტ კოვაჩი ასევე ტრავმირებულები არიან.

**ზურაბ რუხაძე**

### დღეს. 20.00. სომხეთი – უკრაინა

## VII ჯგუფი

### დღეს. 22.30. თურქეთი – სლოვაკეთი

# სამი გვინდა, ერთიც კარგია

**თურქეთი** და სლოვაკეთი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფშიც მეტოქეები იყვნენ. მაშინ პირველი მატჩი, სტამბოლში, მარტში გაიმართა და ფრედ, 1:1 დასრულდა. საპასუხო კი სექტემბერში შედგა. თურქებმა სტუმრად 1:0 იმარჯვეს.

მაშინ ოსმალონი არავინ იყვნენ, ახლა კი მსოფლიოს ბრინჯაოსნები არიან. ამბიციაც მოსძალებიათ და საქართველოს ნაკრებსაც, ვაგლახ, იოლად გაუსწორდნენ.

რაც შეეხება სლოვაკებს, ბოლო ამხანაგური შეხვედრა მეზობელ ჩეხეთში ითამაშეს, სადაც 1:4 განადგურდნენ.

ნაკრების მწვრთნელმა ლადისლავ იურკემიკმა ჩეხებთან მარცხის შემდეგ ცხელ გულზე გუნდიდან ორი ნახევარმცველი მიაბრძანა. სამაგიეროდ, გამოიძახა ვესტჰემელი ვლადიმირ ლაბანცი, თუმცა „მიდლსბროს" ფორვარდი ნემეცი ჩეხებთან მიღებული ტრავმის გამო თავსიანებს ვერ დაეხმარება.

ლადისლავ იურკემიკს მიაჩნია, რომ თურქთა აღმასვლა კანონზომიერია, ხოლო ინტერელ გრეშკოს, მეტოქის სიძლიერის მიუხედავად, სტამბოლიდან სამი ქულით წასვლა სწადია. მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, მაგრამ საბოლოოდ, ალბათ, ქულაც არ გვაწყენსო, ბრძანა თურქეთში ჩასულმა გრეშკომ.

თავად მასპინძლებს პრობლემები მისძალებიათ. შენოლ გიუნეში უფორვარდებოდ დარჩა. ჰაქან შუქური უგუნდოდაა და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ბურთი აღარ უნახავს, ილჰან მანსიზი კი ტრავმირებულია. თურქები არიფ ერდემისა და სერჰათის იმედზე არიან, რომლებმაც საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც ითამაშეს.

გარდა ამისა, ცალკე ვარჯიშობენ ჰასან შაში და დავალა უმითი. ამ ფეხბურთელების დღევანდელ შეხვედრაში მონაწილეობა თითქმის გამორიცხულია, რადგან შენოლ გიუნეშმა ძირითადი თერთმეტეული უკვე დაასახელა, რომელთა შორისაც შაში და უმითი არ არიან.

სხვამხრივ, ჩვენს მეზობლებს ყველაფერი წესრიგში აქვთ. რუშთუ კარს უდარაჯებს, ალფაი დაცვას მიხედავს, შუაში კი თუგაი-ბაშთურქ-ემრე იტრიალებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**



ვრატისლავ გრეშკო ქართველი არ არის, თურქების არ ეშინია

### დღეს. 23.00. ბელგია – ბულგარეთი

## IX ჯგუფი

### დღეს. 23.00. აზერბაიჯანი – იტალია



ჯოვანი ტრაპატონი კავკასიაში ისევ ჩამოვიდა

REUTERS ბაქოდან

**იტალია**

*მეკარეები:* ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი);

*მცველები:* ფაბიო კანავარო (ინტერი), მარკო მატერაცი (ინტერი), მარკ იულიანო (იუვენტუსი), ფრანჩესკო კოკო (ინტერი), ალესანდრო ნესტა (მილანი), დანიელე ადანი (ინტერი), კრისტიან პანუჩი (რომა), მასიმო ოდო (ლაციო);

*ნახევარმცველები:* დამიანო ტომაზი (რომა), ჯენარო გატუზო (მილანი), კრისტიანო დონი (ატალანტა), მასიმო ამბროზინი (მილანი), ლუიჯი დი ბიაჯო (ინტერი), ანდრეა პირლო (მილანი);

*თავდამსხმელები:* კრისტიან ვიერი (ინტერი), ფილიპო ინძაგი (მილანი), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), მარკო დი ვაიო (იუვენტუსი), ვინჩენცო მონტელა (რომა)

### დღეს. 21.00. ფინეთი – უელსი

### ხვალ. 20.00. ლიხტენშტაინი– მაკედონია

# 11:1 აღარ ელოდოთ! პროგრესი აშკარაა

**ლიხტენშტაინის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რალფ ლოოსმა მაკედონია — მალტის ამხანაგურ მატჩზე მზვერავი გააგზავნა. მზვერავმა ნახა, რომ მაკედონიელებმა მეტოქეს ხუთი უპასუხო ბურთი აყლაპეს და ამის შესახებ რალფ ლოოსს უამბო.

ორი წლის წინ ლიხტენშტაინი მაკედონიას ამხანაგურად გაუჯიბრა. იმ მატჩის შედეგს ამხანაგობისა არაფერი სცხია, რადგან 11:1 დასრულდა. ალბათ, თავად ხვდებით, ვის სასარგებლოდაც. ჰოდა, სამთავროელებს ის მარცხი მწარედ ახსოვთ. ლოოსის თქმით, ახლა მისი ბიჭები შეეცდებიან, მეტოქეს დაუმტკიცონ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში პროგრესი განიცადეს.

მაკედონიელთა მწვრთნელი ნიკოლა ლიევსკი დღეს ახალგაზრდა ილკო ნაუმოსკის თავის გამოჩენის საშუალებას მისცეს. ნაუმოსკი ავსტრიულ „გრაცერში" თამაშობს და ეტყობა, ნაკრების თავკაცს თავი მოაწონა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ამხანაგური მატჩი. დღეს

## ინგლისი — პორტუგალია

დევიდ ჯეიმსი, დენი მილსი, ჯონათან ვუდგეიტი, რიო ფერდინანდი, ეშლი კოული, ოუენ ჰარგრივსი, ლი ბოიერი, სტივენ ჯერარდი, ტრევორ სინკლერი, მაიკლ ოუენი, ემილ ჰესკი

ვიტორ ბაია, ბეტუ სევერუ, ფერნანდო კოუტუ, ფერნანდო მეირა, რუი ჟორჟე, სერჟიუ კონსეისაუ, არმანდო პეტი, რუი კოშტა, ლუიშ ფიგუ, სიმაო საბროსა, პედრო პაულეტა



REUTERS

სვენ გორან ერიქსონმა ლი ბოიერს და ჯონათან ვუდგეიტს შეუნდო

# კარგი ბიჭები დაიმტვრნენ

## ახლა ხულიგნების დროა

**დღეს** ინგლისის ნაკრებს დევიდ ბექჰემის არყოფნაში მაიკლ ოუენი უკაპიტნებს. შეგახსენებთ, რომ ოუენმა პირველად აპრილში მოირგო კაპიტნის სამკლავური, როცა ბრიტანელები პარაგვაის ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრნენ და 4:0 სძლიეს. მაშინ დროებითმა კაპიტანმა გოლიც გაიტანა.

ინგლისელებს იმედი აქვთ, რომ დღესაც გაიმარჯვებენ, რათა მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოყოლილი სევდა გაიქარვონ.

მასპინძლებს არ ეყოლებათ პოლ სქოულზი, კირონ დაიერი და, როგორც უკვე გითხარით, დევიდ ბექჰემი. ნაკრებს ვერც სოლ კემპბელი დაეხმარება. მას ლიდსელი ჯონათან ვუდგეიტი შეცვლის და რიო ფერდინანდს დაცვის ცენტრში შეუწყვილდება. საბურთაოდ უხმეს ლი ბოიერსაც. არადა, მწვრთნელი აქამდე ამბობდა, ხულიგნები ჩემს გუნდში თამაშს ვერ ეღირსებიანო, ბოიერი და ვუდგეიტი კი მოგეხსენებათ, ცნობილი ხულიგნები არიან.

სვენ გორან ერიკსონმა ალან სმიტიც გამოიძახა. ლიდსელი ფეხბურთელი ასეთი დაფასებით გახარებულია: „თუ აქამდე ნაკრებში ვერ ვხვდებოდი, ამაში მხოლოდ საკუთარ თავს ვადანაშაულებ. ახლა შანსი მომეცა. ჩემი შესაძლებლობების ყოველთვის მჯეროდა. ვეცდები, შანსი გამოვიყენო და ეროვნულ გუნდში ადგილი დავიმკვიდრო."

მასპინძელთა კარში დღეს დევიდ სიმენს ვერ ვიხილავთ. მის ნაცვლად კიდევ ერთი ლიდსელი, ახალგაზრდული ნაკრების ძირითადი მეკარე პოლ რობინსონია მიწვეული, თუმცა სასტარტო შემადგენლობაში, ალბათ, მაინც უფრო გამოცდილი ასტონ ვილელი დევიდ ჯეიმსი ჩადგება. შეგახსენებთ, რომ თამაში ჯეიმსის მშობლიურ „ვილა პარკზე" გაიმართება.

პორტუგალიელებს კი ახალი მწვრთნელი ჰყავთ, მუნდიალის ჩამგდები ანტონიო ოლივეირა აგოსტინო ოლივეირა შეცვალა — მათ შორის ნათესაური კავშირი არ შეინიშნება.

ახალდანიშნული, ცხადია, წარმატებულ დებიუტზე ფიქრობს. ლუიშ ფიგუს, მანუელ რუი კოშტასა და პედრო პაულეტას პატრონის თქმით, ფეხბურთელებს უკვე აუხსნა, რომ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე შელახული რეპუტაციის აღდგენა სჭირდება. „ვფიქრობ, მათ ყველაფერი კარგად გაიგეს" — დასძინა აგოსტინო ოლივეირამ.

ვინ რა გაიგო, დღეს გამოჩნდება.

**მაკა ხუციშვილი**

# კრიზისი სხვაგან მოიკითხეთ

## ტოტენჰემმა ომახიანად დაიყივლა

**ზრდა** 7,8 მილიონი გირვანქიდან 22,6 მილიონ გირვანქამდე. 900 000 გირვანქა წლიური სუფთა მოგება.

ეს ციფრები „ტოტენჰემის" თავმჯდომარე დენიელ ლევიმ წარადგინა. 900 ათასი გირვანქა 30 ივნისისთვის კლუბის სუფთა მოგებაა. 22,6 მილიონი გირვანქა კი SKY TV-ისთან ახლადდადებული 3-წლიანი კონტრაქტის მიხედვით „დეზებისთვის" განკუთვნილი თანხაა.

ეს უდიდესი ტელეკონტრაქტია კლუბის ისტორიაში. ლევის თქმით, „ტოტენჰემისთვის" უმთავრესი ამოცანა საყოველთაო კრიზისის დროს ფულის შენარჩუნება იყო, რაც კლუბმა გადაჭარბებითაც კი მოახერხა. 43-დან 47 მილიონამდე გაიზარდა სახელფასო ფონდიც, კაპიტალბრუნვამ კი 48 მილიონიდან 65 მილიონს მიაღწია.

ახალი კონტრაქტები დაიდო იტალიურ „კაპასთან" (4-წლიანი) და ბრიტანულ „ჰოლიდეი კამპანისთან" (2-წლიანი). კლუბმა დაიმატა დინ რიჩარდსი, გორან ბანჯევიჩი, გუსტავო პოიეტი და კრისტიან ციგე. მათში საერთო ჯამში ლონდონურმა კლუბმა 16 მილიონი გირვანქა გაიღო. გარდა ამისა, „ლიდსიდან" რობი კინის გადაყვანა კიდევ 7 მილიონი გირვანქა დაუჯდა. გაშვებულ ფეხბურთელებში კი „ტოტენჰემმა" 6,3 მილიონი გირვანქა აიღო.

— ვფიქრობ, ჩვენ გლენთან ჰოდლთან ერთად შევძელით დაბალანსებული გუნდის შექმნა. ვითარება ხელსაყრელია იმისთვის, რომ „ტოტენჰემმა" სერიოზულ მიზნებს მიაღწიოს — განაცხადა დანიელ ლევიმ.

„ტოტენჰემის" თავმჯდომარის თქმით, კლუბი იანვარში, სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ, კიდევ აპირებს ფეხბურთელების დამატებას.

„ტოტენჰემი" პრემიერლიგის ლიდერიც არის.

**სერგი ჟორჟიძე**

# რომარიო აჭრილია

### ბრაზილია

მე-8 ტური: სანტოსი — ვიტორია 3:0; პორტუგეზა — ინტერნასიონალი 0:2; პალმეირასი — კურიტიბა 2:2; კრუზეირო — სან პაულუ 3:1; პაშანდუ — კორინთიანსი 0:1; გამა — პონტე პრეტა 0:0; სან კაეტანო — გუარანი 2:1; ფლამენგო — ფლუმინენსე 5:2; ვასკუ და გამა — ატლეტიკო მინეირო 1:2; ატლეტიკო პარანაენსე — ბოტაფოგო 2:0; ბაია — პარანა 3:2

**ეს რომარიო** მგონი დამთავრდა: „ფლუმინენსემ" 2:5 წააგო — „ფლამენგოსთან", „ფლუს" ყველაზე ხმაურიანმა ვარსკვლავმა კი პენალტი ააცილა. აქამდე რომარიოს ზედიზედ ოთხ მატჩში ვერ გაეტანა და ახლაც მხოლოდ ძელი დააზანზარა.

რიოს ყველაზე ხმაურიან დერბიში „ფლამენგო" პირველივე წუთიდან აგებდა ფლუელი სეზარის გოლით, მაგრამ ათირსონმა და ზე კარლოსმა ექვს წუთში ორი გოლი გაიტანეს. შესვენების შემდეგ, ოცწუთიან მონაკვეთში, ლიედსონმა, ირანილდომ და ფაბიო ბაიანომ კიდევ სამი გაიტანეს, რომარიომ კი პენალტი ააცილა. ერთი გოლი მსაჯის მიერ დამატებულ დროში შეცვლაზე შესულმა რონიმ გაიტანა. ეჰ, უიღბლო დებიუტი გამოუვიდა „ფლუს" ახალ მწვრთნელ რენატო პორტალუპის.

„ფლამენგომ" მხოლოდ მეორედ მოიგო საერთობრაზილიური პირველობის რვა ტურში და პირველად მწვრთნელ ევარესტო მაჩედუს ხელქვეით, რომელიც ერთი კვირის დანიშნულია.

ამასობაში კვლავ ვერაფერი გააწყო „პალმეირასმა", რომელმაც სულ ბოლოწამს, კოლუმბიელი ერნან მუნიოსის გოლით მოიპოვა ქულა „კურიტიბასთან" საშინაო მატჩში. ქომაგთა გაცეცხლებულმა ბრბომ სტადიონის გვირაბები გადაკეტა და კლუბის პრეზიდენტ მუსტაფა კონტურსის გალახვას აპირებდა.

ფეხბურთელებმა ძლივს გააღწიეს გასახდელიდან, მსოფლიოს ჩემპიონმა მეკარემ, მარკოსმა კი თქვა: „ეს ხალხი მართალია, საზიზღრად ვთამაშობთ."

სამშაბათიდან ბრაზილიის ოთხგზის ჩემპიონს ახალი მწვრთნელი ეყოლება. ლევირ კულპი ერთ თვეში მესამე კაცი იქნება „პალმეირასის" საჭის დაჭერას რომ შეეცდება.

**ირონიო ბუსტოს დამეკო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლ. პარანენსე | 7 | 5 | 1 | 1 | 14:4 | 16 |
| სან პაულუ | 8 | 5 | 1 | 2 | 14:9 | 16 |
| ჟუვენტუდე | 7 | 5 | 1 | 1 | 8:3 | 16 |
| ატლ. მინეირო | 8 | 4 | 3 | 1 | 15:7 | 15 |
| სანტოსი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| კურიტიბა | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 13 |
| კორინთიანსი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:11 | 13 |
| სან კაეტანო | 6 | 4 | 0 | 2 | 11:6 | 12 |
| ინტერნასიონალი | 8 | 3 | 3 | 2 | 14:11 | 12 |
| პორტუგეზა | 8 | 3 | 3 | 2 | 5:6 | 12 |
| გუარანი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:9 | 11 |
| ვიტორია | 8 | 3 | 1 | 4 | 14:12 | 10 |
| გამა | 8 | 3 | 1 | 4 | 5:6 | 10 |
| კრუზეირო | 8 | 2 | 4 | 2 | 9:12 | 10 |
| ფლამენგო | 8 | 2 | 3 | 3 | 13:11 | 9 |
| ბოტაფოგო | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 9 |
| პონტე პრეტა | 7 | 2 | 2 | 3 | 5:4 | 8 |
| ფლუმინენსე | 8 | 2 | 2 | 4 | 12:15 | 8 |
| ბაია | 7 | 2 | 1 | 4 | 8:13 | 7 |
| პარანა | 6 | 2 | 0 | 4 | 12:11 | 6 |
| ვასკუ | 7 | 2 | 0 | 5 | 10:11 | 6 |
| გრემიო | 7 | 1 | 3 | 3 | 6:11 | 6 |
| პალმეირასი | 7 | 1 | 3 | 3 | 8:16 | 6 |
| გოიასი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:15 | 5 |
| ფიგეირენსე | 6 | 1 | 2 | 3 | 2:9 | 5 |
| პაშანდუ | 5 | 1 | 0 | 4 | 6:13 | 3 |

თანაბარქულიან გუნდებს შორის უპირატესობა ენიჭება მეტი გამარჯვების მქონეთ

### ფეხბურთის რუკასთან



**ესპანური** „ბილბაოს" ვეტერანი ფეხბურთელი, 34 წლის რაფაელ ალკორტა კარიერის დასრულებას აპირებს. ფეხბურთელი წლეულს „ბილბაოდან" სხვა კლუბში აპირებდა გადასვლას, თუმც მისი მსურველი არავინ აღმოჩნდა. შეგახსენებთ, რომ ალკორტას მადრიდის „რეალშიც" უთამაშია, ხოლო ესპანეთის ეროვნულ გუნდში 54 მატჩი ჩაუტარებია.

**შვედეთის** ნაკრების მცველი ტედი ლუკიჩი, ტრავმის გამო ლატვიასთან ევრო 2004-ის შესარჩევ მატჩს გამოტოვებს. სავარაუდოდ, დაშავებულ ლუკიჩს შვედეთის „იურგორდენის" მოთამაშე ანდრეას იუჰანსონი შეცვლის.

**ესპანელი** მცველი ივან კამპო მადრიდის „რეალიდან" ინგლისურ „ბოლტონში" რომ გადავიდა, მისთვის ბრიტანეთის კუნძულებზე წასვლა თანაგუნდელმა მაკმანამანმა ურჩია. „სტივმა დამარწმუნა, რომ „ბოლტონში" გადავსულიყავი, რადგან იგი კარგი კლუბია და დიდი ამბიციებიც აქვს" — განაცხადა კამპომ.

**ფრანგული** „მარსელის" პრეზიდენტმა კრისტოფ ბუშემ კლუბიდან მწვრთნელის ერთ-ერთი ასისტენტი გაათავისუფლა. გუნდის მოხელეს გასულ კვირას „მარსელი" — „რენის" შეხვედრისას მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელთან კონფლიქტი მოუვიდა, რამაც ბუშე გააღიზიანა. „არ მინდა, რომ ასეთმა ხალხმა კლუბს იმიჯი შეულახოს" — განაცხადა ბუშემ.

**ინგლისური** „ლივერპულის" ჩეხი ნახევარმცველი პატრიკ ბერგერი კლუბის დატოვებას მომავალ ზაფხულს, კონტრაქტის ამოწურვისთანავე აპირებს. 6 წელია, ფეხბურთელი ამ გუნდში თამაშობს და ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება. „არ მინდა ისეთ კლუბში დარჩენა, სადაც არ მათამაშებენ" — განაცხადა ბერგერმა. არაოფიციალური ინფორმაციით, „ლივერპულიდან" წასული ჩეხი „სანდერლენდს" ან შოტლანდიურ „სელტიკს" მიაშურებს.

**ბულგარული** „ლევსკი" უკრაინულ „დინამოს" უეფას სადისციპლინო კომიტეტში უჩიოდა, კიეველებმა ჩემპიონთა ლიგის მესამე ეტაპის მატჩში „ლევსკისთან" ხორვატი ლეგიონერი გორან საბლიჩი განაცხადში დაგვიანებით შეიყვანესო. უეფამ განიხილა ბულგარელთა საჩივარი, თუმც ვერანაირი დარღვევა ვერ აღმოაჩინა.

**ინგლისური** „სანდერლენდის" ირლანდიელი თავდამსხმელი ნაილ ქუინი მომავალ თვეში კარიერის დასრულებას აპირებს. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთელი უკვე გამოეთხოვა ეროვნულ ნაკრებს, სადაც 91 მატჩი ჩაატარა და 21 გოლი გაიტანა. ქუინი „სანდერლენდში" 1996 წლიდან თამაშობს და ამ გუნდის შემადგენლობაში ჩატარებულ 215 შეხვედრაში 68 გოლი შეაგდო.

**იყიდება სასწრაფოდ!**

შავი ანტიკვარული

როიალი „ბეხშტეინი", ნახევრადსაკონცერტო,

მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით.

ფასი შეთანხმებით



**ტელ: 22-23-15**






მილენა დომინგუში იქ მიდის, სადაც მისმა ქმარმა მაისურების ბიზნესი ააწყო

# მადრიდში სამი ათასი რონალდო დადის

## დონა დომინგუშიც მალე ჩავა

**რონალდო** „რეალის" მაისურით მოედანზე ჯერ არც გასულა, „რეალი" კი მასში დახარჯული ფულის ამოღებას შეუდგა რონალდოს 11-ნომრიანი მაისურის გაყიდვა მისი პრეზენტაციისთანავე დაიწყო.

პრიმერადივიზიონში „რეალის" პირველ მატჩზე ტრიბუნაზე მჯდომი „კიჭას" დანახვამ მადრიდელებზე იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მეორე დღეს 72 ევროდ ღირებული 3000 მაისურა გაიყიდა. 72 გავამრავლოთ სამი ათასზე და 216 ათას ევროს მივიღებთ — ერთი დღისთვის ცოტა ნაღდად არ არის.

„მადრიდის „რეალში" რონალდოს გადმოსვლა კარგად მოფიქრებული გეგმა იყო, კლუბიც და ფეხბურთელიც ამით სერიოზულ მოგებას მიიღებენ" — განაცხადა „სამეფო კლუბის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა.

შეიძლება, მადრიდშივე დაბინავდეს რონალდოს მეორე ნახევარი. მილენა დომინგუში ახლა ქალთა სერია A-ს კლუბ „მონცაში" თამაშობს, მაგრამ ყოფილი ფოტომოდელი მადრიდის „ატლეტიკოს" ქალთა გუნდს მოსურვებია („რეალს" ქალთა გუნდი არა ჰყავს). „ატლეტიკოს" წარმომადგენლების თქმით, მათ ოჯახის უფროსთან უკვე უსაუბრიათ. რონალდო ატლეტიკოელთა წინადადებას მოუხიბლავს. ჯერი მის თანამეცხედრეზეა. მოისურვებს იგი ქმრის კვალზე შედგომას და სერია A-დან პრიმერადივიზიონში გადაბარგებას? სხვათა შორის, ცოლ-ქმარს გარკვეულწილად ერთმანეთის მსგავსი საფეხბურთო ბიოგრაფიებიც აქვთ. ქმრისა არ იყოს, მილენა დომინგუშსაც მუხლის ტრავმამ ორი სეზონი გამოატოვებინა.

**სერგი ქორიძე**

# გაანებეთ ჩემს ცოლს თავი!

## კლაუდიამ შტეფანი შინ შეათრია





კლაუდია შტრუნცმა შტეფან ეფენბერგის მენეჯერობაც აცისრა

**შტეფან ეფენბერგის** ყოფილი მეუღლე, მარტინა, ქმრის მენეჯერიც იყო. ეფენბერგი ცოლ-მენეჯერს დასცილდა და ქორფა სიყვარული ძმაკაცის ცოლში, კლაუდია შტრუნცში ჰპოვა. როგორც ფეხბურთელი ამბობს, უმარტინობა უპატრონობას არ ნიშნავს და საკუთარ თავს თვითონ უმენეჯერა, როცა „ვოლფსბურგთან" მოლაპარაკებას აწარმოებდა.

საპირისპიროს გაპკივის გერმანული „შპიგელი". ჟურნალის ვერსიით, კლაუდია შტრუნცი „მგლებთან" ყველა მოლაპარაკებას დაესწრო და შენიშვნებსაც კი იძლეოდა. როგორც ჩანს, ფრაუ შტრუნცს მარტინას ხელობის ათვისება სწადია, რათა ეფენბერგს სრულფასოვანი ცოლობა გაუწიოს.

დღეს წყვილი ვოლფსბურგში ცხოვრობს. ეფენბერგის იქ ყოფნამ არაერთი ფოტოკამერა „ააფორიაქა". ერთ „მგლურ" საღამოს ორმა მოჩხაკუნემ დროის გატარება ფეხბურთელის სახლთან ხეტიალით გადაწყვიტა — ევებ ფოტოფირები შტეფან-კლაუდიათი გავამდიდროთო.

ეფენბერგმა ფოტომონადირენი დალანდა, კარგა ხანს სჭვრეტდა. რომ შეატყო, თავისით წასვლას არ აპირებდნენ, გარეთ გაუვარდა: „დაგხოცავთ, თქვენი..."

კლაუდიას ნაცნობი ხმის გაგონებაზე ელეთმელეთი ეცა, ემანდ ჩემი ყოფილი ხომ არ მოვიდაო, ისიც შტეფანს გაედევნა. და რა იხილა მძუძგავი პაპარაცები, შვებით ამოისუნთქა.

„ნორმალურად ვეღარ მიცხოვრია — წუწუნებს ფეხბურთელი — ყოველ ნაბიჯზე მითვალთვალებენ. ეს აუტანელია და იძულებული ვარ, რამე ვიღონო. ალბათ, სახლის გარშემო მაღალ გალავანს შემოვავლებ."

„ვოლფსბურგის" მენეჯერმა პეტერ პანდერმა, კიო, მართალს ამბობსო: „კაცს დასვენება სჭირდება, მას კი განუწყვეტლივ ვიღაც დასდევს."

შტეფან ეფენბერგი ვერ ხედავს მიზეზს, თუ რატომ უნდა მოუბოდიშოს ყოფილ თანაგუნდელ თომას შტრუნცს: „მისთვის ასახსნელი არაფერი მაქვს. ცხოვრება ასეთია, ყველა თავის გზას პოულობს. არა მგონია, რომ რაღაცის გასარკვევად ერთმანეთს უნდა შევხვდეთ."

კარიერის ბოლოს „ეფე" ამერიკაში გამგზავრებას და იქ დასახლებას აპირებს: „ჩემი შვილები იქ არიან. მსურს, მათთან ახლოს ვიყო. გარდა ამისა, ევებ ამერიკაში მაინც მომასვენონ ჟურნალისტებმა."

**გაგა ხუციშვილი**

# ყველა როის წინააღმდეგ

## მაჩუქეთ მაისურა, ითხოვს მილიონერი

**როი კინის** ახალი ავტობიოგრაფიული წიგნი ისეთ ბესტსელერად იქცა სრულიად ბრიტანეთში, თავის დროზე ვინ იცის, ჩარლზ დიკენსს შეშურებოდა თეთრი შურით. ამ ნაშრომიდან სხვადასხვა ეპიზოდები ხალხმა უკვე გაარჩია და ბევრიც იმსჯელა. ამჯერად ერთ დეტალზე შევაჩეროთ ყურადღება.

ირლანდიელ ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ინგლისის ნაკრებზე გამოუთქვამს თავისი აზრი. სვენ გორან ერიკსონის ბიჭები მუნდიალის დასრულების შემდეგ თურმე ერთმანეთს კმაყოფილნი ეუბნებოდნენ, მაინც მაგრები ვართ, მეოთხედფინალში რომ გავედითო. კინმა მათი დაცინვა გადაწყვიტა, თქვა, ინგლისელები უფრო იმით იყვნენ კმაყოფილნი, მეტოქეებთან მაისურებს რომ ცვლიდნენ და შინ მიჰქონდათო.

მავანნი ამბობენ, ინგლისის ნაკრების მცველ რიო ფერდინანდს მეოთხედფინალში ბრაზილიასთან დამარცხების შემდეგ ერთბაშად ორი მეტოქისთვის — რივალდოსა და რობერტო კარლოსისთვის გამოურთმევია მაისურა და შესაძლოა, კინი ამასაც გულისხმობდა, როცა ინგლისელებს აშაყირებდაო.

რივალდოსა და რობერტო კარლოსის მაისურებს კი ასეთი ბედი ეწიათ: რიო ფერდინანდმა, ნაცვლად იმისა, რომ ისინი შეენახა და თუგინდ 50 წლის მერე აუქციონზე გაეყიდა, აიღო და თავის ძმას, ენტონის უსახსოვრა. „მანჩესტერ იუნაიტედის" ცენტრალურმა მცველმა კი მის თანაგუნდელსა და კაპიტანს პრესის მეშვეობით ახლახან ასეთი პასუხი გასცა: „წაგებამ ისე დამწყვიტა გული, იმ მომენტში მაისურებზე არც კი ვფიქრობდი. თუ კინმა ასეთი რამ თქვა, ეს ჩემთვის პრობლემა არ არის, უბრალოდ, არ ვეთანხმები."

კინის წიგნში ნათქვამია ისიც, რომ კაპიტანი ხშირად ეღავებოდა იუნაიტედელ თანაგუნდელებს, განსაკუთრებით კი გასახდელში: მანქანებზე, ქალებზე, ვილებსა და „როლექსის" საათებზე ცოტა ნაკლები იფიქრეთ, თამაშები რომ გვაქვს მოსაგები, ის გაიაზრეთო.

რიო ფერდინანდი დაზუსტებით ვერ ამბობს, რამდენად მკაცრად ტუქსავს როი კინი მაგალითად, დევიდ ბექემს იმ მიზეზით, რომ ფერდინანდი სულ ახლახან ჩაირიცხა „მანჩესტერში" და სავარაუდოა, საერთოდაც არ შესწრებია მსგავს სცენას. ისე კი რიომ თქვა: „კინს უყვარს თავისი პოზიციის გამოხატვა, ხანდახან საჭიროა კიდეც გვერდით ასეთი ადამიანის ყოლა. პირადად ჩემთვის კინი უმაღლესი დონის ოსტატია, უფრო უკეთესი, ვიდრე ახლოს გაცნობამდე მეგონა."

ახალგაზრდა მცველმა კიდევ უკეთესი რამეებიც ილაპარაკა თავის კაპიტანზე — მაგალითად, ჩვენ ყველას გვინდა, კინი მალე დაუბრუნდეს გუნდსო. კიდევ თქვა — ვიღაცეები გაიძახიან, როი კინი ყუმი ვინმეა, ვარჯიშის შემდეგ უმალ შინ მიდის და დროსტარებას ერიდებაო, მაგრამ მართლა ეგრე როდია, გართობა კი უყვარს, მაგრამ კინი ოჯახის კაცია და შინ ურჩევნია, ცოლ-შვილთანო.

რიო ფერდინანდმა ასევე ბევრი კარგი ილაპარაკა ვეტერან ლორან ბლანზე. კერძოდ, ასეთი დონის მცველის გვერდით თამაში უდიდეს გამოცდილებას მმატებს, რადგან რაც უნდა იყოს და რაგინდ დიდი ფული იყოს ჩემს სანაცვლოდ გადახდილი, სწავლა და ჯახირი კიდევ ბევრი მჭირდება, დიდ მცველად რომ ჩამოვყალიბდეო.

სხვათა შორის, ფერდინანდის მცველობაზე თავისი აზრი ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა ფრანკო ბარეზიმ გამოთქვა, რატომ გადაიხადა „მანჩესტერ იუნაიტედმა" 29 მილიონი გირვანქა ფერდინანდში, როცა უფრო ნაკლებ თანხად „ლაციოდან" ალესანდრო ნესტას გადაბირება შეეძლო. მე პირადად, ნესტას ვამჯობინებ ფერდინანდსო.

კიდევ ერთი: რიო ფერდინანდის „ლიდსიდან" გაშვებაზე ახლახან კარტები გახსნა იორკშირელთა კლუბის თავმჯდომარემ პიტერ რიდსდეილმა, რომელიც, როგორც გახსოვთ, სანამ „მანჩესტერი" 29 მილიონამდე გაზრდიდა სატრანსფერო თანხას, გაიძახდა, რიო ფერდინანდი „ლიდსიდან" არსად წავაო. თუმცა ახლა, როცა ეს ფული ჩაიჯიბა, რიდსდეილი სხვაგვარად ალაპარაკდა: „ხალხს უკვირს, თუ რატომ გავყიდე კლუბის საუკეთესო მცველი. მე კი ვპასუხებ — ორი სეზონის წინ ჯონათან ვუდგეიტის საკითხი არ იყო გადაწყვეტილი. ვინ იცის, ციხეში ჩაესვათ კიდეც, სასამართლო წელიწადზე მეტ ხანს გაიწელა და წინასწარ არაფერი ვიცოდით. ფერდინანდი მაშინ რაღაც დაზღვევის მსგავსის მიზნით გადმოვიყვანე „ვესტ ჰემიდან" 18 მილიონად და ამ „დაზღვევამ" წელიწადის შემდეგ 20 მილიონზე მეტი მოგება მომიტანა. განა რა არის მის გაყიდვაში გასაკვირი? ეს ხომ ბიზნესია?!"

**ირაკლი ვიძუა**



რიო ფერდინანდს სხვისი სამოსი ჰყვარებია

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VII ტური

7 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 005 | ბაბელსბერგი-აუე | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 17.00 | 006 | ვატენშაიდი-ჰამბურგი(მ) | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |

8 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 007 | ქემნიცი-დრეზდენი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 17.00 | 008 | დინამო-დორტმუნდი(მ) | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 17.00 | 009 | მიუნსტერი-კილი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 17.00 | 010 | ვერდერი(მ)-ლევერკუზენი(მ) | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). IX ტური

7 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 021 | კაიზერსლაუტერნი(მ)-ბაიერნი(მ) | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 17.30 | 022 | აინტრახტი(მ)-შაინფურტი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 17.30 | 023 | რეგენსბურგი-ვეენი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 17.30 | 024 | დარმშტადტი-ფულენდორფი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 17.30 | 025 | ელვერსბერგი-ერფურტი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 17.30 | 026 | კიკერსი-ნოინკირხენი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 027 | კიკერსი-ნოინკირხენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 17.30 | 028 | ჰოფენჰაიმი-ოფენბახი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |

8 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 029 | ზიგენი-აუგსბურგი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.00 | 030 | უნტერჰახინგი-აალენი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |

### ინგლისი. I დივიზიონი. VII ტური

7 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 033 | უოტფორდი-უოლსოლი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 17.00 | 034 | როტერჰემი-რედინგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 036 | უიმბლდონი-ლესტერი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 037 | დერბი-ბარნსლი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 038 | დერბი-ბარნსლი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 19.00 | 039 | ჯილინგემი-პორტსმუთი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 040 | მილუოლი-ბრაიტონი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 19.00 | 041 | ნორვიჩი-შეფილდი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |

### ინგლისი. II დივიზიონი. VII ტური

7 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 045 | მენსფილდი-ქუინს პარკი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 17.30 | 046 | სუინდონი-პორტ ვეილი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 047 | კოლჩესტერი-ჩელტენემი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 18.00 | 048 | უიგანი-უიკომბი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 049 | ბლეკპული-ტრანმერი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 050 | ბრენტფორდი-ლუტონი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 051 | ქრიუ-ჩესტერფილდი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 052 | ჰადერსფილდი-ბარნსლი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 053 | ნოტსი-ოლდემი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |

### ინგლისი. III დივიზიონი. VII ტური

7 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 057 | კიდერმინსტერი-ბოსტონი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 18.00 | 058 | ლინკოლნი-სკანთორპი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 059 | კემბრიჯი-ჰალი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 19.00 | 060 | ექსეტერი-ბორნმუთი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 062 | ოქსფორდი-ტორკი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 063 | რაშდენი-საუთენდი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 19.00 | 064 | შრიუსბერი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 065 | სუონსი-ჰარტლპული | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |

8 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.05 | 061 | მაკლსფილდი-როვერსი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |

### პორტუგალია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

8 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 121 | ლეცა-შავეში | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი

8 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 076 | სპარტა-სიტარდი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |

### ბელგია. II დივიზიონი. IV ტური

8 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 080 | დაინცე-სტრომბეკი | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 18.00 | 081 | რუსელარე-ვიგორი | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 18.00 | 082 | დესელი-ტინენი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 18.00 | 083 | ეუპენი-ვარეგემი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 18.00 | 084 | დენდერლეუ-რონსე | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 18.00 | 085 | ლიეჟი-სერკლი | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |
| 18.00 | 086 | ვირტონი-ვისეტი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |

### იტალია. თასი.

8 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 130 | ვენეცია-ვიჩენცა | 2,5 | 2,7 | 2,9 | 1,29 | 1,34 | 1,39 |
| 20.00 | 131 | ემპოლი-კალიარი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 20.00 | 132 | ასკოლი-ლეჩე | 2,35 | 2,9 | 3,0 | 1,29 | 1,31 | 1,47 |
| 21.30 | 133 | პალერმო-რეჯინა | 2,5 | 2,7 | 2,9 | 1,29 | 1,34 | 1,39 |
| 23.30 | 134 | კატანია-კოზენცა | 1,95 | 2,7 | 4,4 | 1,13 | 1,35 | 1,67 |
| 23.30 | 135 | სიენა-ჯენოა | 2,15 | 2,7 | 3,6 | 1,19 | 1,34 | 1,54 |

### შოტლანდია. ლიგის თასი. 1-ლი ეტაპი.

7 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 089 | ალბიონი-ჰამილტონი | 3,4 | 3,4 | 1,9 | 1,7 | 1,21 | 1,21 |
| 17.00 | 090 | მორტონი-სენტ მირენი | 3,6 | 3,4 | 1,8 | 1,74 | 1,19 | 1,17 |
| 17.00 | 091 | ქუინს პარკი-ისტ სტირლინგი | 1,85 | 3,4 | 3,5 | 1,19 | 1,21 | 1,72 |
| 18.00 | 092 | ბერიკი-არბროთი | 2,4 | 3,3 | 2,5 | 1,38 | 1,22 | 1,42 |
| 19.00 | 093 | ერდრი-ელგინი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 19.00 | 094 | გრეტნა-ისტ ფაიფი | 2,2 | 3,4 | 2,8 | 1,33 | 1,23 | 1,53 |
| 19.00 | 095 | ქუინი-ფორფარი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| 19.00 | 096 | სტრანრარი-ბრეჩინი | 2,3 | 3,4 | 2,6 | 1,37 | 1,22 | 1,47 |

### 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური

7 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 097 | ნორვეგია-დანია | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 098 | ფარერის კუნძულები-შოტლანდია | 6,5 | 3,6 | 1,45 | 2,31 | 1,18 | 1,03 |
| 20.00 | 099 | რუსეთი-ირლანდია | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 20.00 | 100 | ავსტრია-მოლდავეთი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 20.00 | 101 | სომხეთი-უკრაინა | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |
| 21.00 | 102 | ხორვატია-ესტონეთი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 21.00 | 103 | ფინეთი-უელსი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 22.00 | 104 | ლატვია-შვედეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| 22.30 | 105 | კვიპროსი-საფრანგეთი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| 22.30 | 106 | ლიტვა-გერმანია | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| 22.30 | 107 | თურქეთი-სლოვაკეთი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 23.00 | 108 | სან მარინო-პოლონეთი | 18,0 | 9,0 | 1,03 | 6 | 1 | 1 |
| 23.00 | 109 | ბელგია-ბულგარეთი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 110 | აზერბაიჯანი-იტალია | 14,0 | 7,0 | 1,1 | 4,66 | 1,01 | 1 |
| 23.15 | 111 | სლოვენია-მალტა | 1,05 | 8,0 | 16,0 | 1 | 1 | 5,33 |
| 23.15 | 112 | ბოსნია-რუმინეთი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 23.30 | 113 | ჰოლანდია-ბელარუსი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 23.45 | 114 | საბერძნეთი-ესპანეთი | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 |

8 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 115 | შვეიცარია-საქართველოანგარიში – 5,0 | | | | | | |
| 20.00 | 116 | ლიხტენშტეინი-მაკედონია | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |

### ამხანაგური მატჩები

7 სექტემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 119 | ინგლისი-პორტუგალია | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 21.00 | 120 | ისლანდია-უნგრეთი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური (21 წლამდე)

7 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 158 | რუსეთი-ირლანდია | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,17 | 1,24 | 1,66 |
| 17.25 | 159 | ავსტრია-მაკედონია | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 20.00 | 160 | შვეიცარია-საქართველო | | | | | | ანგარიში - 5,0 |

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ ქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48

ეროვნული ბიბლიოთეკა

WE ARE THE WORLDS!

მსოფლიოს ჩემპიონატი. ინდიანაპოლისი (აშშ)
29 აგვისტო – 8 სექტემბერი

## მეოთხედფინალი

# როგორია, იყო შოკოლადი?!

## შეჭმული ამერიკა მსოფლიოს შეჭმას აპირებდა


პრედრაგ სტოიაკოვიჩი ამერიკას აღემატა


ზღაპარი დამთავრდა: ანდრე მილერის ამერიკა საბოლოოდ დამარცხდა

**იუგოსლავია 81:78 აშშ**

**იუგოსლავია:** ბოდიროგა (9), კოტუროვიჩი (3), სტოიაკოვიჩი (20), იარიჩი (7), დივაცი (16 ქულა, 11 მოხსნა), ჟუიანიჩი (5), ტომაშევიჩი (6), გუროვიჩი (15)
**აშშ:** ფინლი (12), ბ. დევისი (8), ა. დევისი (4), რ. მილერი (8), ა. მილერი (19), ონილი (8), პირსი (19), ბრენდი, ვოლესი

იუგოსლავია კარგა ხანია, აბილიკებდა ამერიკელთა ძლევისკენ მიმავალ გზას. თუნდაც 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადა გავიხსენოთ. ამერიკელები მაშინაც შინ თამაშობდნენ და წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატისგან განსხვავებით, უძლიერესი შემადგენლობით პოზიორობდნენ, ჰყავდათ ყველა საუკეთესო მაიკლ ჯორდანის გარდა — შაკი, ადმირალი, პიპენი, სერ ჩარლზი, სტოქტონ-მელოუნის დუეტი, ეშმაკი ჰაკიმი და იმ ეპოქის ყველაზე კაშკაშები. ეს დიდებული კომპანია ფინალამდე ლამის თითის გაუნძრევლად მივიდა, მაგრამ იქ, ჰოი საოცრებავ, ამერიკამ თითის გაქნევით ვერ დააშინა კერკეტი იუგოსლავია. მამაცი სერბები თვალს უსწორებდნენ კალათბურთის მონარქთ და მუხლშეუდრეკად იცავდნენ თავიანთ კალათს, უტევდნენ მეტოქისას. ლამის ქულა ქულაში გალეულმა პირველმა ნახევარმა ოდნავ შეაცბუნა ამერიკული პუბლიკა, მაგრამ აი, მათი ოცნების გუნდის ხუთეულში ორი მონსტრი — 216-სანტიმეტრიანი შაკილ ონილი და ამხელავე დევიდ რობინსონი გამოჩნდნენ და ხალხიც გახალისდა. ამათი საშუალებით ამერიკამ ხელი მიჰყო მეტოქის ჩაგვრას, თამაშიც გამანადგურებელი ანგარიშით მოიგო, რითაც ხალხი დაამშვიდა, სამყაროს ბატონ-პატრონები, დიახაც, ჩვენ ვართ და სხვა არავინო.

მაგრამ დაკვირვებულ თვალს არ გამორჩებოდა, რომ ეს იყო ფიზიკური ძალის და უკეთესი მონაცემების ზეიმი ტანმორჩილებაზე. იუგოსლავიელებმა დაამტკიცეს, რომ კალათბურთში ამერიკელებზე ცუდად არ ერკვევიან, ეგაა, ეს არ აისახა მატჩის ანგარიშში, რამაც მოატყუა და დათვური სამსახური გაუწია ამერიკელებს. მოთამაშეებმა თავი დააჯერეს, რომ უძლიერესები არიან, ამერიკელმა ერმაც დაიჯერა ის, რისი დაჯერებაც სურდა.

ორი წლის წინანდელმა ოლიმპიადამ ვერ გამოაფხიზლა ისინი. სიდნეიში ამერიკელებს უკვე აკლდათ ზოგიერთი, თუმც არა ყველა. იყვნენ კარტერი, კიდი, პეიტონი, მურნინგი, გარნეტი... არ იყვნენ ონილი, ბრაიანტი, აივერსონი, დანკანი... და ამერიკამ ნახევარფინალში ძლივს, ბოლო წუთზე და შემთხვევის წყალობით გამოჰგლიჯა ხელიდან ლიტვის საშუალოზე საშუალო გუნდს საკუთარი ღირსება.

ინდიანაპოლისში ამერიკელმა კალათბურთელებმაც და ხალხმაც ზურგი უჩვენეს მსოფლიოს ჩემპიონატს. ამერიკელებმა სტუმრად მოსულთ მეორე-მესამე შემადგენლობის მოთამაშეები და ცარიელი დარბაზები აკადრეს, მსოფლიომ კი არ აპატია აბუჩად აგდება კალათბურთის მშობელს, გამზრდელს და მერე ჯიუტად დამჩემებელს, რადგან კალათბურთი მარტო შტატებისა არ არის.

კონკრეტულად მატჩზე ბევრს ვერ ვიტყვით და არცაა სათქმელი. ამ თამაშისთვისღა გამოცოცხლებული მასპინძლები, არგენტინასთან მარცხით შეფუცხუნებულები, თითქოს ბეჯითად აკეთებდნენ იმას, რაც ბავშვობიდან უსწავლიათ, მაგრამ მეტოქეზე არცთუ განსაკუთრებით კარგად. ეგაა, ძირითადად ისინი ლიდერობდნენ, თუმც მეტოქის სუნთქვა და ფეხისხმა ზურგში სცემდათ. მატჩის დამთავრებამდე იქვე წუთით ადრე ამერიკამ სპურტი მოაწყო და 69:59 დაწინაურდა. უტეხი იუგოსლაველები თავისას განაგრძობდნენ და გუროვიჩის წყვილი სამქულიანის და მოგვიანებით იარიჩის ასევე სამიანით ანგარიში 71:71 გახადეს. დარჩენილ ორნახევარ წუთში ამერიკელები ამაოდ ცდილობდნენ გონს მოსვლას. კიდევ ნახევარი წუთიც და იუგოსლავიელთა ლიდერ დეიან ბოდირიგას საჯარიმოშ საბოლოოდ დააწინაურა ევროპელები. ანდრე მილერის სამქულიანმა ვერ უშველა მასპინძლებს. ისინი მხოლოდ ჯარიმდებოდნენ მარკო იარიჩზე და ამანაც ბოლო ნახევარ წუთში ოთხი საჯარიმო ჩაუგდო და ჩემპიონატიდან გააგდო გონზე ეგრეც ვერ მოსული ამერიკელები.

„თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენად ბედნიერია ჩვენი ხალხი“ — თქვა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა. „საკრამენტო კინგზის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ამ დღეს კარგად ილვაწა, იუგოსლავიის საერთო მონაგარიდან მეოთხედი მისია.

და კიდევ, ამერიკელები აიკლო თავად „გაამერიკებულმა“ იუგოსლავმა, სტოიაკოვიჩის ბებერმა თანაგუნდელმა ვლადე დივაცმა. დივაცს ამ ჩემპიონატზე ასე არ უთამაშია, ეგ კი არა, ვინც მოინდომა, ყველამ თავზე გადაატენა ბურთი. იქნებ ვლადე ამ თამაშისთვის ინახავდა თავს?

**ირაკლი ფირცხვილი**


ჰუგო სკონოჩინომ (№10) და მისმა თანაგუნდელებმა საკუთარი ბედნიერება გამოჰედეს

*ნბა-ს მოთამაშეებისგან შემდგარი ამერიკის ნაკრებისთვის ეს იყო ყველაზე სამარცხვინო გზა მოედნიდან გასახდელისკენ. 4 სექტემბრის ისტორიულ მატჩში არგენტინელთაგან ძლეული ვარსკვლავები დარბაზიდან ისე გაიძურწნენ, დაფაცურებულ ჟურნალისტებს ძაანაც რომ ნდომოდათ, ამერიკელებს მაინც ვერ მოიხელთებდნენ. არგენტინელებს კი სად ეცალათ სალაპარაკოდ, მიღწეულით გაოგნებულნი მშობლიურ ჰიმნს ხაოდნენ. პირველი რეალობას ჰუგო სკონოჩინი დაუბრუნდა, მაგრამ რეალობაც დაუჯერებელი იყო და ინგლისურენოვან ჟურნალისტს უთხრა, ცოტა დამაცალეთ, ინგლისურ სიტყვებს მოვძებნი, თორემ ისეთი გახარებული ვარ, მგონი, ესპანურიც გადამავიწყდაო*

# არ-გენ-ტინა 87:80 აშშ

## ჰუგო სკონოჩინი: გავა დრო და მოვუყვები შვილებს...

**— როგორც ისტორიული მატჩის გმირი რას იტყოდით?**

— დღეს ყველა არგენტინელი გმირია. კარგად შესრულებული სამუშაოსგან უდიდეს კმაყოფილებას ვგრძნობ. ეს ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

**— რომელი იყო ამ მატჩის გადამწყვეტი ეპიზოდი?**

— ყველაფერი მატჩამდე გადაწყდა. ჩვენ არ წაგვიგია თამაში მოედანზე გამოსვლამდე, როგორც ეს სხვა გუნდებმა გააკეთეს ამერიკელებთან შეხვედრისას.

**— ამერიკელებთან თამაშისთვის განსაკუთრებულად ხომ არ ემზადებოდით, მათი თამაშის მანერა არ შეგისწავლიათ?**

— არა. ჯერ ერთი, მათ თამაშში დაფარული არაფერია, ამ ბიჭების შესაძლებლობები ნებისმიერმა გულშემატკივარმა კარგად იცის, და მეორეც: შარშან ჩვენ ორჯერ წავაგეთ ნბა-ს ნაკრებთან — პანამერიკისა და კეთილი ნების თამაშების ფინალში, რაც ძალიან დაგვეხმარა, მათ ფონზე ჩვენი ძალების განსაზღვრაში. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე საკუთარ თამაშზე უფრო მეტს ვფიქრობდით და მანამდე დაშვებულ შეცდომების გამოსწორებაზე ვზრუნავდით. როგორც გამოჩნდა, სწორედ მოვქცეულვართ.

**— არგენტინა ჯერჯერობით ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია მსოფლიოს ჩემპიონატზე. ესე იგი საუკეთესოც?**

— მაქამდე ჯერ კიდევ შორია. დარწმუნებული ვარ, ეს დღე ისტორიაში შევა და ჩემი შვილიშვილებისთვის კარგი მოსაყოლი მექნება. მაგრამ დღეს ეს უნდა დავივიწყოთ, ხვალ მეოთხედფინალი გველის. არგენტინა ინდიანაპოლისში მედლებისთვის ჩამოვიდა, რომელიც 52 წელია არ მოუპოვებია. მაქსიმალური მობილიზება გვმართებს ღირსეული შედეგის მისაღწევად.

# WE ARE THE WORLDS!

მსოფლიოს ჩემპიონატი. ინდიანაპოლისი (აშშ)
29 აგვისტო – 8 სექტემბერი

## მეოთხედფინალი

# კემერონმა საცოლეს პუერტო რიკო აჩუქა

**ახ. ზელანდია 65:63 პუერტო რიკო**

**ახალი ზელანდია:** დიკელი (3), პენი (7), პენარი (3), ჯონსი (21), ბუჩერი (2), კემერონი (16), ბუქი (10), რემპტონი, ბიკი (3)
**პუერტო რიკო:** ორტისი (13), აპოდაკა (4), არიოი (8), მინსი (5), აიესო (24), ლატიმერი (4), ურუტინერი (2), რ. დოლმაუ, სანტიაგო (3)

„ჩვენ ხმაურით შემოვიჭერით მსოფლიო კალათბურთში" — თქვა ნამატჩევს ახალი ზელანდიის მწვრთნელმა ტებ ბოლდუინმა.

ჩვენ კი დავამატებდით: ძალიან ხმაურიანადაც. ოკეანეთელებმა, რომელთაც „მაიამში", ასე ვთქვათ, ვლადიმერ სტეფანიას ჩრდილქვეშ მყოფ შონ მარქზე მეტად არავინ მოეძევებათ (მარქსს ბოლო თამაშებია, დაშავებული თვალის გამო არ უთამაშია) და მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად თამაშობენ, მეოთხედფინალში მუნდიალის რვაგზის მონაწილე და ამ ტურნირზე სულერთხელ წამგები პუერტო რიკო დაამარცხეს.

პუერტო რიკო, ალბათ, ნამეტანი დარწმუნებული იყო თავის თავში, ისევე როგორც ანგოლელებთან წინა შეხვედრაში. კარიბელები აფრიკელებთან გადარჩნენ, ოკეანეთელებთან კი — ვერა.

ფავორიტ პუერტოელებს არც გულშემატკივარი აკლდათ, მაგრამ ეს ვერაფერი შველა აღმოჩნდა მათთვის. ახალზელანდიელთა ფორვარდმა პერო კემერონმა კარიბელებით დახუნძლულ ტრიბუნებს გასალები კარგად მოარგო: „როცა პუერტორიკოელთა კმაყოფილი გულშემატკივრები ტაშს უკრავდნენ, ამას ჩემს თავზე ვიღებდი, ხოლო როცა უსტვენდნენ — მოწინააღმდეგეზე. მათმა ღრიანცელმა ვერაფერი დაგვაკლო. დარბაზში დედაჩემი და ჩემი საცოლე ისხდნენ, ესეც საკმარისი იყო ჩემს გასამხნევებლად".

მიკნურისგან შეგულიანებული კემერონი ერთობ გამოირჩა: ზელანდიელთა მონაგრებული 10 სამქულიანიდან 4 მის ანგარიშზეა. ყველაზე ყოჩაღი კი ფილ ჯონსი გამოდგა, ვინც თანაბრად მიმდინარე მატჩის ბოლო წუთზე კვანძი გახსნა — პუერტორიკოელები დრიბლინგით გააბრუა და თავისიანები 5 ქულით დააწინაურა. კარიბელთა საქმე მოთავებულს ჰგავდა, მაგრამ იმდენი მოახერხეს, საფრეო სროლამდე მოიყვანეს საქმე — ბოლოს ანტონიო ლატიმერს 210-სანტიმეტრიანმა ედ ბუქმა დაუფარა და ნახევარფინალში დებიუტანტები გავიდნენ, სადაც მძლეთამძლე იუგოსლაველები ჩასაფრებულან.

**ირაკლი სახოკიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

ბებერი პუერტორიკოელი ხოსე ორტისის ყვავილობა ფილ ჯონსმა (ბურთით) და მისიანებმა ჩააჭკნეს

# არგენტინამ ბრაზილია ევროპულობით დაჩაგრა

**არგენტინა 78:67 ბრაზილია**

**არგენტინა:** სანჩესი, ჯინობილი (19), მონტეჩია (10), ობერტო (19), სკონოჩინი, სკოლა (11), გუტიერესი, ნოჩიონი (16), პალადინო (3), ვოლკოვიჩი
**ბრაზილია:** მაჩადო (14), გარსია, მაზუჩინი (20), სპლიტერი, ს. ვარეჟაო (2), ფერაჩოუ (1), ფილო (3), ა. ვარეჟაო (10), ჟოვანონი (5), კლაფკე (12)

მწვერვალისკენ ძალუმად დაძრულმა არგენტინამ მორიგი გამოცდა ჩააბარა. სამხრეთამერიკელებმა ისევე იოლად და დამაჯერებლად მოუგეს მოქიშპე მეზობელს, როგორც ყველა დანარჩენს, ვინც ინდიანაპოლისში გზად გადაეყარათ, მათ შორის ამერიკასაც, და მსოფლიოს ჩემპიონატების 52-წლიან ისტორიაში პირველად გავიდნენ ნახევარფინალში.

ვერც ბრაზილიამ გააჩერა ეს მოძრავი და ხალისიანი გუნდი. თავად ბრაზილიელებსაც ჭეშმარიტად ბრაზილიური ხასიათის ცეცხლოვანი გუნდი ჰყავთ, მაგრამ კლასი აკლიათ, რადგან ძირითადად შინაური პირველობის ვარსკვლავებისგან კრებენ ნაკრებს და არგენტინელებისგან განსხვავებით, ბევრ ევროპაში ლეგიონერთა ლეგიონი არა ჰყავთ. მართალი რომ ვთქვათ, ბრაზილია თუმც სიმპათიური გუნდია, ნახევარფინალში ადგილის მოცდენას არ იმსახურებდა. წაგებულებმა სწორად შეაფასეს ძალები და მეოთხედფინალიდან გავარდნამ ძალიან არ დასწყვიტათ გული. ბოლო-ბოლო, ამ ეტაპიდან გამოეთხოვა მედლებისთვის ბრძოლას ნბა-ს ნაკრები.

არადა, ბრაზილიამ მშვენივრად დაიწყო და პირველ ნახევარში აშკარად ძლიერ მეტოქეს ტოლი არ დაუდო. არგენტინა ძირითადად ჩამორჩებოდა და პირველი ტაიმი 36:39 დათმო.

მერე კი არგენტინელები ათამაშდნენ ისე, როგორც ყველა კარგი გუნდი — მატჩის მსვლელობაში იპოვეს თავიანთი თამაში და თანდათან აამაღლეს ბურთაობის ხარისხი. მართალია, მათ ჩაუქ უკანახაზელებს იმ დღეს სროლები არ მისდიოდათ, მაგრამ ამან ვერ შეუქმნა პრობლემები. ბრაზილიას კლასი არ ეყო და მეტოქე წინ გაუშვა — მესამე მეოთხედის ბოლო ხუთი წუთი 3:15, ხოლო მეოთხე ათწუთეულის დებიუტი 4:11 დათმო და 3-ქულიანი უპირატესობა 16-ქულიან ჩამორჩენად ექცა. ეს უკვე დასასრული იყო.

„ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ წავაგეთ, რადგან დღესდღეობით ბრაზილიური კალათბურთი კვლავ ბევრით ჩამორჩება საერთაშორისო გრანდების დონეს. ისე კი, ვფიქრობ, ამ მდგომარეობაშიც შეიძლება პოზიტიურის პოვნა. მეხუთე ადგილისთვის ვიბრძოლებთ, რაც ჩვენთვის ცუდი შედეგი არაა" — თქვა ბრაზილიელთა თავკაცმა ელიო რუბენს გარსიამ. პაი გიდი! ამერიკას, ასევე მეხუთე ადგილისთვის რომ იბრძოლებს პლეი ოფში, ბრაზილიაც კი აღარ ეპუება.

ნახევარფინალისტი არგენტინელები კი ცდილობენ, მოზღვავებული ემოციები შეიკავონ. აბა, ჯერ რას მივაღწიეთ, ნამდვილი ბრძოლები ახლა იწყებაო და მართებულადაც უდგებიან საქმეს. მეოთხედფინალში მათი მეტოქე ესპანეთის მძლეველი გერმანია იქნება თავისი დირკ ნოვიცკითა და არაგერმანულ გვარებიანი ჭრელი ბიჭების კრებულით. არგენტინელებს იქნებ ესპანეთი ერჩიათ, ესპანურ პრიმერადივიზიონში მათი ნაკრების ერთბაშად ცხრა წევრი თამაშობს და იქაური კალათბურთისა ყველაფერი გაეგებათ, თუმც არგენტინას არც ნოვიცკი და კომპანია აფრთხობს. ჯგუფურ ტურნირში ერთხელ უკვე დაუმარცხებია და ახლაც მხოლოდ იგივეს გეგმავს.

**კოტე ყორშია**



REUTERS

ანდერსონ ვარეჟაოს ბრაზილია ალეხანდრო მონტეჩიას არგენტინას ეომა და დამარცხდა

# გერმანიამ ესპანეთი დააჯარიმა

**გერმანია 70:62 ესპანეთი**

**გერმანია:** დემირელი (9), ოკულაია (11), ლუტკე (2), პეშიჩი (14), როდლი (2), ნიკაგბატსე (4), გარისი (2), არიგბაბუ, ფემერლინგი (6), ნოვიცკი (20)
**ესპანეთი:** გასოლი (14), მარკო (2), ნავარო (21), როდრიგესი (7), ხიმენესი (2), ანგულო (2), პარაისო (2), კალდერონი, მ. რეიესი (8), გარბახოსა (4)

იუგოსლაველთაგან საჩემპიონო რბოლიდან დაფრენილ ღუჟონ ამერიკელ ვარსკვლავს, მეცამეტე ნბა-ელიც მიჰყვა — პაუ გასოლმა თანალიგელთა ბედი გაიზიარა, მისი ესპანეთის მძლეველი კიდევ ერთი ნბა-ელის დირკ ნოვიცკის გერმანიაა.

ესპანელებს გერმანელებზე ხმაურიანი გამარჯვებები მოეპოვებინათ ინდიანაპოლისში და ფავორიტობდნენ, თუმც ნოვიცკისთან ხუმრობა რომ ცეცხლთან თამაშია, ამჯერადაც დადასტურდა.

ორივე გუნდი ისტორიულ ზღურბლზე იდგა: მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში არასდროს ეთამაშათ. ერთი სიტყვით, სასწორზე ბევრი რამ იდო.

ერთიც იყო, ნბა-ს ორი მქუხარე ევროპელის დუელში გასოლი იმარჯვებდა თუ ნოვიცკი, ბევრს აინტერესებდა. საამმატჩო სტატისტიკით თუ ვიმსჯელებთ, გერმანელმა ესპანელს ბევრით ვერ აჯობა, მაგრამ თუ გერმანელთა გამარჯვებას ჩავრთავთ საქმეში, თამამად ითქმის, ნოვიცკიმ იმარჯვა.

თავიდან გერმანელები 9:0 დაწინაურდნენ. მისად დემირელმა ერთი სამიანი და ერთიც ორქულიანი ჩააგდო ნოვიცკიც ჩაერია საქმეში. გასოლი კი ცდილობდა „თეთრთავა გოლიათის" ფარქვეშ შეჩერებას, მაგრამ ხშირად ჯარიმდებოდა. ნოვიცკისაც მეტი რა უნდოდა, ამ მატჩამდე მიყოლებით ოცზე მეტი საჯარიმო ჩაეგდო და არც ახლა უკანკალებდა ხელი.

პირველი ტაიმი ჩრდილოევროპელებმა სამხრეთელებს 40:31 მოუგეს, მაგრამ მესამე ათწუთეულ და მათ ლიდერის გვემა ერთად დაიწყო. ხუან კარლოს ნავარომ როგორც იქნა, გაისწორა სამქულიანი მიზანი, გასოლმაც გაილაღა და ესპანელებმა 2:6 მოიგეს მატჩის მეოთხედგანაკვეთი.

მთავარი ამბები ბოლოს მოხდა: ჯერ „ნოვიცკელებმა" მოიგეს დროის მცირე მონაკვეთი — 11:0, მერე „გასოლელებმა" — 11:5 და სირენამდე 2 წუთით ადრე ესპანეთი 60:59 დაწინაურდა. ყველას რომ ეგონა, ბრძოლა იწყებაო, თურმე ყველაფერი დასრულებულიყო. „ბოლოს სული შემიგუბდა. ნაწვალები სულ წყალში ჩაგვეყარა. მატჩის ბედი საჯარიმოებმა გადაწყვიტა. ძალიან ბევრი ავაცილეთ, განსაკუთრებით ბოლოს" — მიზეზობდა ესპანელთა მწვრთნელი ხავიერ იმბროდა. ისე კი მართალი იყო, გერმანელები საჯარიმოებს გამორჩეულად ესვრიან. ნოვიცკის მიყოლებით 28 ჩაეგდო და, მართალია, ესპანეთთან ბოლო მეოთხედში 29-ეზე ჩაიჭრა, მაგრამ „ესპანეთი მაინც არ შეუშვა ნახევარფინალში.

**ირაკლი ბერტაია**



REUTERS

ბევრი და ამაოდ იმუშავა პაუ გასოლმა, ნახევარფინალის საგზური დირკ ნოვიცკისა და პატრიკ ფემერლინგის გერმანიას შეხვდა

US OPEN 2002 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 16 174 200 $

# ლეგენდა VS კერპი
## როგორ სძლია გამოცდილებამ სიჭაბუკეს


REUTERS ნიუ იორკიდან

სხენგ შალკენი

**მეოთხედფინალი**

**პიტ სამპრასი (17, აშშ) — ენდი როდიკი (11, აშშ) 6:3, 6:2, 6:4; სხენგ შალკენი (24, ჰოლანდია) — ფერნანდო გონსალესი (28, ჩილე) 6:7 (5:7), 6:3, 6:3, 6:7 (5:7), 7:6 (7:2)**

ორი წლის წინ პიტ სამპრასმა ენდი როდიკს „ამერიკული ჩოგბურთის მომავალი" უწოდა. ამ ორი წლის განმავლობაში პიტმა ერთი ტიტულის მოგებაც ვერ შეძლო, შუშპარა და უტიფარი ენდიბიჭი კი იმედისმომცემი ჭაბუკიდან ამერიკელთა უპირველეს კერპად და 90-იანელთა დიადი თაობის მთავარმემკვიდრედ გადაიქცა.

31 წლის ლეგენდისა და 20 წლის კერპის საამმეოთხედფინალო შეხლას მთელი საჩოგნეთი გამორჩევით მოელოდა. ვარაუდობდნენ, რომ ეს თაობათა ბრძოლა უნდა ყოფილიყო.

ვაგლახ — ბრძოლა არ შედგა.

უნიჭიერესი თვისტომი ტურნირის 4-გზის მახარმა და ჯამში სარეკორდო, 13 სლემტიტულის მომნაგვრელმა კაცმა უმოწყალოდ გაბითურა — არც წინა ორ პირად შეხლაში მოგება ჩაუგდო რამედ და არც ის, რომ წლეულს ლეიტონ ჰიუიტთან ერთად ყველაზე მეტი, 52-52 გამარჯვება მოუპოვებია და საათნახევრიანი გაკვეთილის შემდეგ კორტიდან ბეჭებზედადებული გაუშვა.

პიტის მიზანმიუმცდარად მოგლაჯუნე სათულფე მოწოდებისა და ბადესთან უშეცდომო, ნატიფი გარჯის წინაალმდეგ, რაიც 43 „საქულე" დარტყმით გამოიხატა, მარცხენა ფეხით აკოჭლებულსა და ნირწამხდარ როდიკს არანაირი ანგარიშგასაწევი არგუმენტი არ აღმოაჩნდა.

მატჩის სადავეები პიტმა პირველი სეტის მეორე გეიმშივე მიითვისა, როცა ენდის მისი გეიმი წაჰგვარა. ასეთი რამ მატჩის მსვლელობისას კიდევ სამჯერ განმეორდა, თავად კი საკუთარ გეიმს ერთხელაც არ შელევია — თავიდანვე მოჩანგლულ მეტოქეს ძუა ბოლომდე არ მოუბოშა და სანახევარფინალო საგზური ოდენ მისთვის ჩვეული და ქომაგთაგან დასტურ მოსაკლისებული დამაჯერებლობით მიითვალა.

ენდიბიჭს მარცხენა ფეხი უკვე ორშაბათიდან აწუხებდა, მაგრამ მისდა სასახელოდ, ნამატჩევს ამაზე სიტყვაც არ დასცდენია. თავადვე კარგად უწყოდა, რომ მცდარი ტაქტიკით ითამაშა, როცა უკანახაზიდან რამდენიმე მეტრით დაშორებულმა ბადის მისადგომები სამპრასს დაუთმო და მის ხლართებში საკუთარი ნებით გაება.

ეს ის კლასიკური შემთხვევა იყო, როცა გამოცდილება სიჭაბუკეს მოერია — მოერია ტაქტიკით, მოწოდებით, ჩაჭრილი დარტყმებითა თუ არეკნებით...

სხვათა შორის, 1990 წელს, როცა იქვე ანდრე აგასისთან მოსაგებ ფინალში გასასვლელად 31 წლის ჯონ მაკინროის აჯობა, პიტი მხოლოდ 19 წლის იყო. მასზე ასაკმცირეს ნიუ იორკულ სეფემაგარსაფრეთში სხვას არავის უმარჯვია...

ნამატჩევს ენდი აშკარად მონუსხული ჩანდა.

„ის საოცრად დახვეწილად და გრაციოზულად თამაშობს — ამბობდა იგი — ადრეც მითქვამს, რომ პიტი ჩემი სიყრმის გმირია და ახლაც გავიმეორებ ამას... ამ საღამოს მან კიდევ ერთხელ მაჩვენა, თუ როგორ უნდა გადამწყვეტი ქულებისთვის ჩოგნაობა, დღეს ყოველი ასეთი ქულისთვის რკენისას მე კორტის წაგებულ მხარეს ვიყავი... ვიღაცები ამბობენ, რომ პიტი უკვე ამოიწურა, მე კი ასეთი რამ არასოდეს მითქვამს. არა მგონია, თვით ყველაზე მაზალო ტიპებსაც ეეჭვებოდეთ, რომ მას კიდევ შეუძლია დიადი ჩოგბურთის თამაში... ჩემი სეზონით უკმაყოფილო არა ვარ, თუმცა სლემტურნირებიდან ყველაზე წარმატებულად მაინც აქ ვითამაშე... მართალია, უფრო მაღალ მიზნებს ვისახავდი, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ უამრავი ახალი რამ ვისწავლე ყოველ შეხვედრაში დამუხტული გავდიოდი და ყოველ გათამაშებაში მთელ ჩემს ჯიგარს ვაქსოვდი... თავდაჯერება კვლავაც გაუბზარავი მაქვს და ძალიან მინდა, სეზონი ზეათეულის მოთამაშედ გავასრულო".


REUTERS ნიუ იორკიდან

პიტ სამპრასი

სამპრასი: „ო, ეს საუცხოო გრძნობაა. აი, სწორედ ამიტომ არ ვანებებ თავს თამაშს, ასეთი დიდი მატჩების გამო... ფლეშინგმედოუზური შეღამება, პაექრობა ენდისთან — ყველაფერმა ამან შესანიშნავ გუნებაზე დამაყენა და კაცურად ვიბურთავე. სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი, როგორი მატჩი მელოდა და რა იქნებოდა. ჩანდა, რომ ენდის ფეხი აწუხებდა და ცოტა მოძრაობა უჭირდა. ამან საქმე უფრო გამიადვილა და, რაკილა თავიდანვე ავლაგმე, მერე აღარ გამჭირვებია... ნიუ იორკში თამაშს არაფერი სჯობს, აქ საუცხოო ატმოსფეროა. ახლა თავს ჩინებულად ვგრძნობ, ასეთ განწყობას მთელი წელი ველოდი... ფინალზე ჯერ არ ვფიქრობ, ჩემი სანახევარფინალო მეტოქე ძალიან კარგი მეჩოგნეა და ახლა უკვე მასთან გამართულ მატჩებს ვიხსენებ".

მისი მეტოქე კი იმ დღეს მეორე მეოთხედფინალში ნახეირები ჰოლანდიელი სხენგ შალკენი (24) იქნება.

ამთავითვე სათქმელია, რომ შალკენი ამ კვირა დღეს 26 წლისა შესრულდება და ის პირველი ნიდერლანდელია ტომ ოკერის (1971) შემდეგ, ვინაც აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალს უწია.

მისი და ჩილელი გონსალესის (28) სამეოთხედფინალო დავიდარაბამ სამ საათსა და 43 წუთს გასტანა და მეხუთე სეტში ჩათამაშებული ტაიბრეიკით მომთავრდა. თუკი პირველ და მეოთხე სეტთა აიდოსტები თავისკენ ჩილელმა მიიმტვრია, გადამწყვეტ ტაიბრეიკზე მაინც შალკენმა იმარჯვა. ამას თავისი ლოგიკაც ჰქონდა — მატჩის მსვლელობისას მან მეტოქეს მხოლოდ ერთი საკუთარი გეიმი დაუთმო და ქულისმომტან დარტყმათა დაჯამებისას მასზე 23-ით მეტი აღმოაჩნდა.

შალკენი: „ეს ჩემთვის სიზმარივითაა... შენს სახელს ჰიუიტის, აგასის და სამპრასის გვერდით კითხულობდე, სიზმარია, აბა, რა არის... აქ თითქოს ცუდად არ მითამაშია, მაგრამ ასე შორს „შეტოპვას" მაინც არ მოველოდი... დაღლილი თუ ვარ? არა, დაღლით სარ[illegible]სიანსა და კუერტენთან მატჩებ[illegible] უფრო დავიღალე. ახლა კი ისიც მეხმარება, რომ რაღაც შინაგანი დაძაბულობაც მომეხსნა, ალბათ ასე ხდება, როცა ისეთ რამეს მიაღწევ, რასაც თავადაც არ ელოდი და შორიდან შიშითაც კი უცქერდი... წარმომიდგენია, რამხელა მნიშვნელობა ექნება ჩემს ამ წარმატებას ჰოლანდიური ჩოგბურთისთვის — ჩვენში ხომ ჩოგნაობას ფეხბურთის შემდეგ მეორე ადგილი უპყრია".

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის წლევანდელ ღია პირველობამდე მას იქ ბედი შვიდჯერ ეცადა და მხოლოდ შვიდ მოგებას გამორჩენილიყო, ხოლო საამსეზონო უიმბლდონამდე 28 სლემტურნირზე ეთამაშა და ვერცერთხელ გასცილებოდა მესამე წრეს. წლევანდელ უიმბლდონზე კი მან მეოთხედფინალამდე მიაღწია და იქ მომავალ ჩემპიონ, ლეიტონ ჰიუიტთან 5-სეტიან ბულრაობაში იძლია.

შალკენი და სამპრასი ერთმანეთს ოთხჯერ შეხვედრიან — ოთხივე მატჩი მაგარსაფარზე გაიმართა და ოთხივეჯერ გამარჯვება სამპრასს დარჩა.

მოახერხებს თუ არა კარიერის განმავლობაში 7 ტიტულის მიმთვლელი ჰოლანდიელი ამ ნავსის გატეხვას, დღეს გვიან ღამით შევიტყობთ.

# სასიყვარულო ისტორია
## გაშიშვლებით, საპყრობილით და პატიებით
### მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა



ალბრეხტ შტრომაიერი

**წინა** კვირაში სერენა უილიამსის „დევნის" ბრალდებით ნიუ იორკში დაპატიმრებულმა ალბრეხტ შტრომაიერმა გუშინ თავი დამნაშავედ სცნო და აღიარა, რომ იგი მართლაც სდევნიდა ქალთა საჩოგნეთის მეპირველეს.

საქმე ქუინზის კრიმინალურ სასამართლოში განიხილებოდა. მოსალოდნელია, რომ 34 წლის გერმანელს გარკვეული დროით იქვე, საიმიგრაციო და სანატურალიზაციო სამსახურის საპყრობილეში ჩააყუდებენ.

მოსამართლე სიუზენ მელენდესმა შტრომაიერს სერენასა და მისი ოჯახის წევრებთან 1000 იარდით ნაკლებ მანძილზე მიახლოება აუკრძალა.

შტრომაიერმა არ გამოიყენა აპელაციის უფლება და დათანხმდა იმას, რომ მშობლიურ ქალაქ ფრანკფურტში ფსიქიატრიული მკურნალობის კურსი გაიაროს. საქმის შემდეგი განხილვა 23 ოქტომბრისთვის დაინიშნა. შტრომაიერის დასწრება იქ სავალდებულო აღარ იქნება.

„ეს გადაწყვეტილება ჩვენ სავსებით გვაკმაყოფილებს" — განაცხადა სერენას უცნაური მეტრფის ადვოკატმა ჯერარდ სევიჯმა. მან ასევე ბოდიში მოიხადა შტრომაიერის სახელით და თქვა, რომ მისი კლიენტის აზრით, ეს უბრალოდ „სასიყვარულო ისტორიააა... ერთგვარი რომანტიკული გატაცება".

მოსმენას შტრომაიერის ძმა და ნათესავი ესწრებოდნენ. უილიამსებიდან იქ არავინ ყოფილა.

„მისმა ოჯახმა დაგვარწმუნა, რომ ის მიიღებს აუცილებელ და სათანადო ფსიქიატრიულ დახმარებას და რომ გაკეთდება ყველაფერი, რაც მასაც და საზოგადოებასაც მომავალში მისი ამგვარი უსაქციელობისგან დააზღვევს" — განაცხადა ოლქის პროკურორმა რიჩარდ ბრაუნმა.

შეგახსენებთ, რომ შტრომაიერი სერენა უილიამსს უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში დასდევდა. სკანდალურ უწყებებში მისმა სახელმა პირველად ადრეგაზაფხულზე გაიჟღერა, როცა მავან არიზონულ კურორტზე მეჩოგნის სანახავად ჩასულმა მის დასანახად საჯაროდ გაშიშვლება დაიწყო.

მეორედ მასზე მაისში, იტალიის ღია პირველობისას ალაპარაკდნენ, საიდანაც ის, უკვე არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ხმაურით მიაბრძანეს. მერე კი იყო უიმბლდონი, სადაც იგი მის გამკავებელ პოლიციელებს ჰალალად გამოუტყდა, რომ სერენა ძალიან უყვარს და მას არაფერს დაუშავებს...

ჰო, მართლა — საკუთრივ სერენას პასუხისმგებლობაზე იმ დღეს არაფერი თქმულა, თუმცა მის მიერ აშშ-ის ამ ღია პირველობაზე ჩაცმული შავტყავა, გავა-ტანზე მოტმასნილი ურცხვი კომბინეზონი მას ამგვარ მეტრფეებს კიდევ უფრო რომ გაუმრავლებს და გაუშმაგებს, ამაში ეჭვი ვინძლო მის ყიამყრალ მამა რიჩისაც არ ეპარებოდეს.

**ლევან ძელაურაძე**



სერენა უილიამსი

ვუელტა 7 - 29 სექტემბერი




შარშანდელი ვუელტას პოდიუმი: ესპანელი ჩემპიონი ანხელ კასერო (შუაში), ესპანელივე ოსკარ სევილია (მარცხნივ) და ამერიკელი ლევი ლეიფეიმერი

# ვუელტა რვიანებს ხაზავს

*ადრე მთვრალი კაცის სიარულზე იტყოდნენ ხოლმე — რვიანებს ხაზავსო. ანტიალკოჰოლურ აგიტაციას არ ვაპირებ, უბრალოდ, დღეს ვუელტა იწყება, ვუელტა კი, ისევე როგორც ჯირო და ტური, წრეს ნიშნავს ესპანურად, დანარჩენებიც შესაბამისად იტალიურად და ფრანგულად. წრისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ესპანური მრავალდღიანის ორგანიზატორებმა წლევანდელი ტრასა ისე გაიყვანეს, რომ კაცი ნამდვილად დაეჭვდება, გვარიანი მოლხენის შემდეგ ხომ არ გახერხდა ესპანეთის რუკაზე 21 ეტაპის დამონტაჟება. თუმცა ახლა გვიანაა, მცირე და დიდი ზომის რვიანებით აკინძული სამიათასკილომეტრიანი ტრასა ოფიციალურად დამტკიცებულია და მსოფლიოს ორასამდე საუკეთესო ველომრბოლს თავიდან ბოლომდე (თუ, რა თქმა უნდა, ძალა ეყო) მოუწევს ამ გზის გავლა*

ვუელტა და ჯირო, სხვადასხვა ნომინაციების ლიდერთა მაისურების ფერებს თუ არ ჩავთვლით, არაფრით განსხვავდება ტურ დე ფრანსისგან, მაგრამ პრესტიჟულობის თვალსაზრისით ფრანგული წრე გაცილებით მაღლა დგას ორივეზე. ამას საუკუნოვანი ისტორია, შეჯიბრების ჩატარების ერთობ მოხერხებული ვადები და კიდევ ბევრი სხვა წვრილმანიც განაპირობებს. არა, საქმე ნამდვილად ისე არ არის, რომ მთლად ხელმოცარულთა ტურნირად წარმოვიდგინოთ ვუელტა ან თუნდაც ჯირო, აქ მონაწილეობდნენ და იმარჯვებდნენ კიდეც ტურის ხუთგზის ჩემპიონი ბერნარ ინო, შვეიცარიელები ტონი რომინგერი და ალექს ცულე, ტურის ჩემპიონები იან ულრიხი და მარკო პანტანი... ასე რომ, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ მსოფლიო ველოსპორტის ზოგიერთი ლიდერი დროდადრო თავს იკავებს ხოლმე მაისში ჯიროში გამოსვლაზე იმიტომ, რომ სულ რაღაც ერთ თვეში ტურ დე ფრანსი იწყება და ენერგიის აღდგენა არც ისე იოლი საქმეა, ვუელტაში კი უკვე ნასაფრანგეთალ სპორტსმენებს იქ გამარჯვების ერთობ მცირე შანსიღა რჩებათ. ეს უწინარეს ყოვლისა იმათზე ითქმის, ვინც მთელი ძალები შეალია ფრანგულ წრეს და საკმაო წარმატებაც მოიპოვა. რა თქმა უნდა, იყვნენ მერქსები და ინდურაინები, რომლებიც იქაც და აქაც ნავარდობდნენ, მაგრამ ამჯერად ველოსპორტის გენიოსებს არ ვგულისხმობთ.

მაინც ვის და რა შანსები აქვს წლევანდელ ვუელტაში?

დავიწყოთ შარშანდელ გამარჯვებული ანგელ კასეროთი. 29 წლის ესპანელ შარშანწინ მეორე იყო ვუელტაზე, წლეულს კი ტურში არ გამოსულა, საფიქრებელია, იმ მიზეზით, რომ ესპანური წრის მეორედ მოგება აქვს განზრახული. თუმცა გაზაფხულზე მიღებულმა ტრავმამ ჯიროში მონაწილეობაშიც შეუშალა ხელი და როგორც ჩანს, სავარჯიშო კილომეტრების რაოდენობაც მაინცდამაინც საკმარისი არ უნდა ჰქონდეს.

გამარჯვების კიდევ ერთი პრეტენდენტია ასევე ესპანელი, მაგრამ 2000 წელს ვუელტას ხმაურიანი მოგების შემდეგ ამერიკაში გადაბარგებული 28 წლის რობერტო ერასი. US პოსტალში ლენს არმსტრონგის გრეგარის ფუნქციებიდან გათავისუფლება (კაცმა არ იცის, დროებით თუ სამუდამოდ) ამ ჭეშმარიტად ნიჭიერ სპორტსმენს თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალებას მისცემს, თუ, რა თქმა უნდა, ორი წლის წინათ უკვე ამერიკულ გუნდში მიღებული ტრავმა არ შეუშლის ხელს.

25 წლის ოსკარ სევილიამ შარშან სულ ბოლო ეტაპზე დათმო ლიდერის მაისურა. შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდუალურ რბოლაში ამ ერთობ პერსპექტიულ ველომრბოლს ზედ ცხვირწინ ააცალეს თითქმის უკვე განაღდებული გამარჯვება.

თუ ფრანგულმა მძიმე ბრძოლებმა საბოლოოდ არ გამოფიტა ტურ დე ფრანსის მეორე პრიზიორი ხოსება ბელოკი, უეჭველია, რომ იგი ვუელტას მოგების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრეტენდენტია.

ცხადია, შანსების გარეშე არ აპირებენ ბრძოლაში ჩართვას იგორ გონსალეს გალდეანო და სანტიაგო ბოტერო. ჯიროს შარშანდელი და წლევანდელი გამარჯვებულები, იტალიელები ჯილბერტო სიმონი და პაოლო სავოლდელი. საეჭვოდ არის გატრუნული ესპანური „ბანესტოს" ახალგაზრდა გვარდია ფრანსისკო მანსერო და ხუან მერკადო.

დღეს 21-დღიანი მარათონის პირველი დღეა. ვალენსიაში გუნდურ-ინდივიდუალური რბოლით იწყება ველოსპორტსმენთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი — ესპანური წრე.

**ირაკლი ბერიაშვილი**

### ბოლო 10 წლის გამარჯვებულები

| | |
|---|---|
| 2001 | ანგელ კასერო (ესპანეთი) |
| 2000 | რობერტო ერასი (ესპანეთი) |
| 1999 | იან ულრიხი (გერმანია) |
| 1998 | აბრამ ოლანო (ესპანეთი) |
| 1997 | ალექს ცულე (შვეიცარია) |
| 1996 | ალექს ცულე (შვეიცარია) |
| 1995 | ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) |
| 1994 | ტონი რომინგერი (შვეიცარია) |
| 1993 | ტონი რომინგერი (შვეიცარია) |
| 1992 | ტონი რომინგერი (შვეიცარია) |

### ვუელტა 2002. გეზი და განრიგი

| | | | |
|---|---|---|---|
| I ეტაპი | 7 სექტემბერი | ვალენსია-ვალენსია | 30 კმ ინდ. გუნდური რბოლა |
| II ეტაპი | 8 სექტემბერი | ვალენსია-ალკოი | 138 კმ |
| III ეტაპი | 9 სექტემბერი | სან ვისენტე-მურსია | 140 კმ |
| IV ეტაპი | 10 სექტემბერი | აგუილასი-როკუეტას დე მარი | 148 კმ |
| V ეტაპი | 11 სექტემბერი | ელ ეხიდო-სიერა ნევიდა | 210 კმ |
| VI ეტაპი | 12 სექტემბერი | გრანადა-სიერა დე ლა პანდერა | 153 კმ |
| V ეტაპი | 13 სექტემბერი | ხაენი-მალაგა | 198 კმ |
| VIII ეტაპი | 14 სექტემბერი | მალაგა-უბიკე | 172 კმ |
| IX ეტაპი | 15 სექტემბერი | კორდობა-კორდობა | 153 კმ |
| X ეტაპი | 16 სექტემბერი | კორდობა-კორდობა | 50 კმ ინდივიდუალური რბოლა |
| XI ეტაპი | 18 სექტემბერი | ალკობენდარი-კოლადო ვილალბა | 162 კმ |
| XII ეტაპი | 19 სექტემბერი | სეგოვია-ბურგოსი | 187 კმ |
| XIII ეტაპი | 20 სექტემბერი | ბურგოსი-სანტანდერი | 178 კმ |
| XIV ეტაპი | 21 სექტემბერი | სანტანდერი-ხიხონი | 180 კმ |
| XV ეტაპი | 22 სექტემბერი | ხიხონი-ალტო დე ანდილერუ | 176 კმ |
| XVI ეტაპი | 24 სექტემბერი | ავილესი-ლეონი | 145 კმ |
| XVII ეტაპი | 25 სექტემბერი | ბენავენტე-სალამანკა | 150 კმ |
| XVIII ეტაპი | 26 სექტემბერი | სალამანკა-ესტასიონი | 191 კმ |
| XIX ეტაპი | 27 სექტემბერი | ბეხარი-ავილა | 178 კმ |
| XX ეტაპი | 28 სექტემბერი | ავილა-ვარმერი | 160 კმ |
| XXI ეტაპი | 29 სექტემბერი | ვარმერი-ესტადიო სანტიაგო | 45 კმ ინდივიდუალური რბოლა |



# ბრივი მაგრაქველიძეს გაეყარა რომელი საუკუნეა?!

*ფრანგულმა „ბრივმა" საქართველოს ნაკრების მორაგბეს მამუკა მაგრაქველიძეს ორწლიანი კონტრაქტი გაუუქმა. დოპინგ-სკანდალში გარეული ქართველის ბრივული კარიერა ერთი ხელის დაკვრით დასრულდა. მაგრაქველიძეს ახალ კლუბში ერთი მატჩიც არ უთამაშია და კონტრაქტით კუთვნილი ხელფასიდან ერთი ევროც არ აუღია*

„ბრივის" ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ ქართველი ლეგიონერი არც აკრძალულ პრეპარატებს იღებდა და არც ავბედითი ამანათის რეალური ადრესატი იყო. ბრიველების ვერსიით, დოპინგი მათი კლუბის რომელიმე ცნობილ მორაგბეს ეკუთვნოდა. კლუბი მამუკასგან ითხოვდა ამ პიროვნების დასახელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში კონტრაქტის გაუქმებით ემუქრებოდა. როგორც ჩანს, თბილისელმა მორაგბემ „მეგობარი" არ ჩაუშვა და...

„ბრივის" უფროსობამ ულტიმატუმი სისრულეში მოიყვანა. ქართველსაისა და ფრანგული კლუბის უფროსობის შეხვედრა იმით დასრულდა, რომ კონტრაქტის გაუქმების პროცედურა დაიწყო. ფრანგული კანონმდებლობით, მაგრაქველიძეს ამის შესახებ ოფიციალური წერილითაც შეატყობინეს.

„ბრივის" გადაწყვეტილებამ აღაშფოთა პროფესიონალ მორაგბეთა კავშირის თავმჯდომარე, წარსულში ცნობილი მორაგბე სერჟ სიმონი: „მე შოკირებული ვარ „ბრივის" უსამართლო და არაჰუმანური გადაწყვეტილებით. ეს მეთოდი შუასაუკუნეების დროისაა და არ ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმპციას". სიმონმა ისიც დაამატა, რომ პროფესიონალ მორაგბეთა კავშირი ფინანსურად და იურიდიულად დაეხმარება ქართველ მორაგბეს, რათა მან კლუბთან კონფლიქტში თავისი ინტერესები ღირსეულად დაიცვას. სიმონმა ჩვენებურს შესთავაზა, დოპინგ-ტესტების მთელი ციკლი გაიარე და შენი უდანაშაულობა დაამტკიცეო. „იმისათვის რომ მორაგბეს ავნო, საკმარისია გაუგზავნო დოპინგიანი ამანათი და მერე მებაჟეებს დაურეკო" — აღნიშნა სიმონმა.

მაგრაქველიძეს ახლა ორ ფრონტზე მოუწევს ბრძოლა. ერთი ის, რომ კონტრაქტის გაუქმების გამო კლუბთან ექნება დავა; მეორე — მის საქმეს ჯერაც პროკურატურა იძიებს. მამუკას ხომ აკრძალული პრეპარატების უკანონო ტრანსპორტირებაში მონაწილეობა ბრალდება.

ბრივიდან გამოძევებული ქართველი ხელის ჩაქნევას არ აპირებს და ახალი გუნდის ძიებაშია. ადვილი მოსალოდნელია, მაგრაქველიძე თავის ყოფილ კლუბ „ოშს" დაუბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში, მამუკამ ამის სურვილი გამოთქვა და არც „ოშის" მწვრთნელი ანრი ბრონკანია წინააღმდეგი. ბრონკანი ის კაცია, ვინც ოჯახით ახლობლობს ჩვენებურთან და დოპინგ-სკანდალის აგორების პირველივე დღიდან ლამის ერთადერთია, ვინც მხარში დაუდგა: „ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ იმაში, რომ მამუკა დაგვიბრუნდეს. იგი ყველამ მიატოვა. ვინც მას ჰკიცხავს, უმეტესობას თავად აქვს ხელები გასვრილი. დავუშვათ, მამუკა შეცდა, რაც მე არ მჯერა, მაგრამ მას მაინც უნდა დაეხმარო" — ამბობს ბრონკანი.

მაგრაქველიძე რომ „ოშში" დაბრუნდეს, მარტო ბრონკანის სურვილი საკმარისი არაა. ამისთვის საჭიროა, საფრანგეთის რაგბის ფედერაციამ ქართველ მორაგბეს ლიცენზია არ გაუუქმოს და „ოშის" ხელმძღვანელების უმეტესობამ მაგრაქველიძის გუნდში ჩარიცხვაზე დასტური თქვას.

ჯერჯერობით ესაა.

**ბაჩო სვანიძე**



ნუკრი ვარდანიძის ფოტო

მამუკა მაგრაქველიძეს „ოშში" დაბრუნება სურს



მსოფლიოს ჩემპიონატი. თავისუფალი სტილი

თეირანი (ირანი) 5 - 7 სექტემბერი

# გუშინ არაფერი, იქნებ დღეს...

**გუშინ** თეირანში, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების სამი კომპლექტი გათამაშდა. სამწუხაროდ, პოდიუმზე ქართველთაგან ვერავინ ავიდა.

დავიწყოთ იმით, რომ ტურნირის პირველ დღეს ნაყოჩაღარი რევაზ მინდორაშვილი (84 კგ), ოთარ თუშიშვილი (66 კგ) და ბესარიონ გოჩაშვილი (55 კგ) შეჯიბრს გამოეთიშნენ.

მინდორაშვილმა კუბელ ჟიოელ რომეროსთან წააგო, გოჩაშვილმა უკრაინელ ალექსანდრ ზახარიუკთან. უკრაინელ ელბრუს თედეევთან დამარცხდა ოთარ თუშიშვილიც.

გუშინვე შეჯიბრში ჩაება საქართველოს ნაკრების დანარჩენი ოთხი წევრი და ჯერჯერობით ოთხივე უდანაკარგოდ მიიწევს წინ.

შთამბეჭდავად დაიწყო ტურნირი გურამ მჭედლიძემ (74 კგ). პირველ წრეში უცნობი ინდონეზიელის ძლევის შემდეგ ბულგარელ მსფოლიოს ჩემპიონ ნიკოლაი პასლარს გაუსწორდა — 3:0. მჭედლიშვილი დღეს სამხრეთკორეელ ჩოი კვან სუს დაეჭიდება. ჯერჯერობით დაუმარცხებელია ელდარ კურტანიძე (96 კგ). ელდარმა ერთნაირი ანგარიშით 3:0 ორი ბრძოლა მოიგო და მესამე წრეში გავიდა. მისი მეტოქეები პოლონელი ბარტნიკი და თურქი ქარიროღლუ იყვნენ. ორ-ორი ბრძოლის ჩატარება და ორივეში გამარჯვება მოახერხეს დავით ოთიაშვილმა (120 კგ) და დავით პოღოსიანმა (60 კგ). გუშინდელი დღე ამით დაასრულეს ჩვენებურებმა. მედლების დარჩენილი ყველა კომპლექტი დღეს გათამაშდება.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაღუპულთა ხსოვნისთვის

მონტე კარლოში გოლფის საქველმოქმედო ტურნირი მიმდინარეობს. შეჯიბრი „ტყუპი კოშკის" ფონდს მოუწყვია და სათამაშოდ ვარსკვლავები მოუწვევია. განთქმული როჯერ მურიც, სხვანაირად კი ჯეიმს ბონდიც აქაა. მონაგები თანხით ფონდს სურს, 11 სექტემბრის ყველა, 2819 მსხვერპლის სახელზე თითო ხე დარგოს.



REUTERS



REUTERS

# ნორჩები ნომერ ერთში

პრეზიდენტი ჯორჯ ბუში კენტაკიში ჩაფრენილა და სახელმწიფო საქმის კვალად თავისი საყვარელი სპორტი, ბეისბოლიც არ დავიწყნია. პრეზიდენტი დიდი ხალისით შეხვედრია ლუისვილის ნორჩ ბეისბოლისტთა გუნდს, მსოფლიო სერიათა წლევანდელ ჩემპიონს და სტენდფორდფილდის აეროპორტში გაჩერებულ პირად თვითმფრინავში, ცნობილ „საფრენ ნომერ ერთშიც" შეძღოლია. ცხადია, ექსკურსია საინტერესო იყო.



REUTERS



REUTERS

# უსაქმოდ

სწორედ ამასწინათ იყო, რომ გაერთიანებული საამიროების სააქლემო ფედერაციამ დოღში მონაწილეობა აუკრძალა თხუთმეტ წლამდე ასაკის ჟოკეებს. ამიტომაც ცხრა წლის ზუბაისი (მარცხნივ) და 6 წლის მოზამილი უსაქმოდ დარჩნენ. მსუბუქი მხედარი დიდად განაპირობებს სააქლემო დოღში გამარჯვებას და ბავშვთა შრომის გამოყენებას აქამდე ზღვარი არ ედო.

# ზიკო სათავეში

იაპონიის საფეხბურთო ნაკრების ახალდანიშნული მწვრთნელი, დიდი ბრაზილიელი ზიკო 16 ოქტომბერს ტოკიოში გაივლის პირველ გამოცდას: იაპონელები იამაიკის ნაკრებს უმასპინძლებენ და თან „კირინის გამოწვევის თასსაც" გაითამაშებენ. სწორედ ამ საქმეზე ჩასულა ტოკიოში იამაიკის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი ჰორას დონოვანი, რომელსაც ზიკოსთვის იამაიკის სამოსი უჩუქნია.



REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო აზელედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი ლეალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge